

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

**არასამთაგროგო ორგანიზაციების მიმართ  
მოსახლეობის, პროფესორ-მასწავლებელთა და მეწარმეების  
დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლა**

(2002 წლის ნოემბერში ჩატარებული რაოდენობრივი სოციოლოგიური  
გამოკვლევის შედეგების ანალიზი)

**ავტორები:**

იაგო კაჭკაჭიშვილი – სოციოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ლია მეზრიშვილი – სოციოლოგი

სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია სამოქალაქო ინტერესების დაცვის  
პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო  
განვითარების სააგენტოს ფინანსური ხელშეწყობით

## მეთოდოლოგია სოციოლოგიური გამოკვლევისათვის

სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა **გამოკითხვის მეთოდით**, კერძოდ, **პირისპირ** (*face to face*) **ინტერვიუს** ფორმის გამოყენებით. მოსახლეობის შერჩევითი ერთობლიობა (1200) მოიცავდა არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მქონე რესპონდენტებს. იმ ადამიანებთან, რომლებიც აცხადებდენ, რომ საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ინტერვიუ აღარ გრძელდებოდა, თუმცა, საველე სამუშაოებმა აჩვენა, რომ მათი ხვედრითი წილი გაცილებით (განსაკუთრებით, პროვინციებში) აღემატებოდა ინფორმირებულთა რაოდენობას.

კვლევის საგანი: სოციოლოგიური კვლევა ითვალისწინებდა **საქართველოს მოსახლეობის, მეწარმეების და პროფესორ-მასწავლებლების დამოკიდებულების შესწავლას** არასამთავრობო სექტორის მიმართ საქართველოში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა განხორციელდა **შემდეგი მაჩვენებლების** (ინდიკატორების) მიხედვით:

1. მოქალაქეთა **ინფორმირებულობა** არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ;
2. მოქალაქეთა დარწმუნებულობა იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები **დადებით როლს** ასრულებს საქართველოში მიმდინარე პროცესებში;
3. მოქალაქეთა დარწმუნებულობის ხარისხი იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას **სასარგებლო მომსახურებას** აწვდის;
4. მოქალაქეთა **სურვილი, ითანამშრომლობა** არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
5. მოქალაქეთა **რეალური მონაწილეობის ხარისხი** არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

საქართველოს **მოსახლეობის შერჩევისთვის** თითოეული მაჩვენებლის მნიშვნელობა შეფასდა სინთეზურად (კომპლექსურად), განსაზღვრული ცვლადების გაერთიანების საფუძველზე. ამასთან, განხორციელდა თითოეული მნიშვნელობის ფორმალიზაცია/კვანტიფიკაცია, რიცხობრივ მაჩვენებლებში მათი გამოხატვის საფუძველზე. საბოლოო ჯამში, დაითვალა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოსახლეობის დამოკიდებულების **სინთეზური ინდიკატორის მნიშვნელობა**, ცალკეული მაჩვენებლისათვის “წონის” მინიჭებისა და მათი რიცხობრივი მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის საფუძველზე (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

რაც შეეხება **პროფესორ-მასწავლებლებისა და მეწარმეებს**, მათთან მიმართებაში, აღნიშნული მაჩვენებლები შეფასდა თითოეული ინდიკატორისათვის რელევანტური ცალკეული ცვლადების პროცენტული განაწილების საფუძველზე.

**პალევის ობიექტი:** სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდება

- ა) საქართველოს მოსახლეობაში (18 წლის და ზემოთ)
- ბ) მეწარმეებში (მსხვილი და საშუალო)
- გ) პროფესორ-მასწავლებლებში

**შერჩევა:**

- **ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევისათვის**

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა როგორც **ძვოტური**, ისე შემთხვევითი შერჩევის პრინციპების დაცით. კერძოდ, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გათვალისწინებით და შერჩევის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად, გენერალურ ერთობლიობაში მოცემული პროპორციების შესაბამისად წინასწარ განისაზღვრა რესპონდენტთა კვოტები რეგიონის ზომის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, აღნიშნული კვოტების ფარგლებში, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნება უახლოესი დაბადების დღის პრინციპი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კვოტას არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდგებ თჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განსხვავებულად განისაზღვრა თბილისისათვის (ყოველი მე-9 ოჯახი), დანარჩენი ურბანული ცენტრებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი) და სოფლებისათვის (ყოველი მე-5 ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ, რაიმე მიზეზით, შეუძლებელი იყო ოჯახთან და რესპონდენტთან კავშირის დამყარება, ინტერვიუერს ეკრალებოდა უახლოეს თჯახთან დაკავშირება და გადაადგილდებოდა ბიჯის დაცვით. ეს უზრუნველყოფდა რესპონდენტების გაფანტულობას და საკვლევი ურბანული ცენტრების მაქსიმალურ მოცვას. დამატებით რესპონდენტებს მიუწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების და უბნების მიხედვით), რამაც გამორიცხა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა.

**გენერალურ ერთობლიობას** წარმოადგენდა საქართველოს ცხრავე რეგიონის 18 წლის და ზევით მოსახლეობა. კვოტები (სქესის და ასაკის მიხედვით) განისაზღვრა თითოეული რეგიონში მოცემული პროპორციების შესაბამისად.

**შერჩევითი ერთობლიობის** მოცულობაა **1200 რესპონდენტი**, რომლებიც რეგიონების მიხედვით განაწილდა სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად.

**შერჩევითი ერთობლიობის** მოცულობისთვის ქვეყნის მასშტაბით შეფასებების ცდომილებები დაახლოებით 3-4%-ია 95%-იანი საიმულობით. სხვადასხვა პარამეტრით გამოყოფილ ქვეჯგუფებში შეფასებების ცდომლებები უფრო ძალადია.

- **მეწარმეებისათვის (მსხვილი და საშუალო)**

**მსხვილ** მეწარმეთა შერჩევის ბაზად ჩაითვალა მსხვილ გადამხდელთა საგადა-სახადო ინსპექციაში არსებული სიები. სიებიდან მსხვილ გადამხდელთა შერჩევა მოხდა ალბათური შერჩევის მეთოდით. გამოიკითხა 70 მსხვილი საწარმოს წარმომადგენელი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიკითხა საწარმოს ზედა მმართველი რგოლის ის წარმომადგენელი, რომელიც წილობრივად მონაწილეობს საწარმოს საწესდებო კაპიტალში.

**საშუალო ბიზნესის** წარმომადგენელი საწარმოების შერჩევა განხორციელდა კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების ბაზაზე. გამოიკითხა იმ საწარმოების წარმომადგენლები, სადაც დასაქმებულია 20-ზე მეტი მუშაკი და რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარზე მეტია. საშუალო ბიზნესის შემთხვევაში, ინტერვიუერებს მიეცათ კვოტები, რომლებმაც საშუალება მოგვცა შერჩევაში წარმოდგენილი ყოფილიყო სხვადასხვა დარგის საწარმოები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც, გამოიკითხა საწარმოს მესაკუთრე ან პირი, რომელიც წილობრივად მონაწილეობს საწარმოს საწესდებო კაპიტალში.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა 150 რესპონდენტი (მეწარმე).

- **პროფესორ-მასწავლებლებისათვის**

შერჩევის გენერალურ ერთობლიობად აღებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სახელმწიფო სამეცნიერო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. შერჩევის ბაზად განისაზღვრა სასწავლებლების მიერ მოწოდებული პროფესორ-მასწავლებელთა სიები. სიები მოიცავს ზემოთ აღნიშნული სასწავლებლების ყველა ფაკულტეტს. შერჩევის ბაზიდან შერჩევა განხორციელდა ალბათური შერჩევის მეთოდით. კერძოდ, არსებულ სიებში პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობისა და გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობის თანაფარდობის საფუძველზე დადგინდა ე. წ. ბიჯი (X) და სიებიდან შეირჩა ყოველი მე-X წარმომადგენელი.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა 150 რესპონდენტი.

ხაბოლო ჯამში, შერჩევის მოდელი ასე გამოიყერება<sup>1</sup>:

1. მოსახლეობისათვის (ეროვნული შერჩევა) (*იხ. ცხრილი №1*):

*ცხრილი №1*

№	რეგიონი	ქალაქი	სოფელი	სულ
		რესპონძენტთა რაოდენობა		
1.	თბილისი	302	0	<b>302</b>
2.	კახეთი	22	105	<b>127</b>
3.	შიდა ქართლი	34	50	<b>84</b>
4.	ქვემო ქართლი	54	81	<b>135</b>
5.	სამცხე-ჯავახეთი	17	38	<b>55</b>
6.	აჭარა	47	52	<b>99</b>
7.	გურია	10	29	<b>39</b>
8.	სამეგრელო	52	77	<b>129</b>
9.	იმერეთი	100	101	<b>201</b>
10.	მცხეთა-მთიანეთი	7	22	<b>29</b>
<b>სულ:</b>		<b>645</b>	<b>555</b>	<b>1200</b>

სხვასახვა დემოგრაფიული პარამეტრის მიხედვით რესპონძენტები ასე განაწილდნენ:

- **სქესის** მიხედვით:
  1. მამრობითი – 45.0%
  2. მდედრობითი – 55.0%
- **ასაკის** მიხედვით:
  1. 18-24 – 13.0%
  2. 25-34 – 20%
  3. 35-44 – 19%
  4. 45-54 – 15%
  5. 55-64 – 16%
  6. 65+ – 17%
- **ეროვნების** მიხედვით:
  1. ქართველი – 95.6%
  2. არაქართველი (რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ბერძენი) – 4.4%
- **განათლების** მიხედვით:
  1. არაუმაღლესი – 57.5%
  2. უმაღლესი – 42.5%

<sup>1</sup> ადნიშნული სქემა დამუშავებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში არსებული უახლესი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, გამოყენებულია 1999 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების სტატისტიკური მასალები.

• **ოჯახური მდგომარეობის მიხედვით:**

1. დაუღახახებელი – 21.9%
2. ქორწინებაში მყოფი – 67.9%
3. განქორწინებული – 1.5%
4. ქვრივი – 8.2%
5. მარტოხელა მშობელი – 0.5%

**დახაქმების სფეროების მიხედვით (იხ. ცხრილი №2):**

ცხრილი №2

№	სფეროები	თქვენი საქუთარი ბიზნესი (%)	სახელმწიფო სექტორი (%)	კერძო სექტორი (%)
1.	მრეწველობა/მშენებლობა	0.8	1.3	2.7
2.	მომსახურების სფერო	1.2	3.3	3.4
3.	ვაჭრობა	5.1	0.4	1.6
4.	ტრანსპორტი	1.2	0.1	0.4
5.	სკოლა/უმაღლესი სასწავლებელი/ბაზი	0.3	9.8	0.3
6.	ჯანდაცვის ობიექტი/ამბულატორია/საავადმყოფო	0.1	1.2	0.2
7.	პოლიცია/ჯარი/სასამართლო/პროკურატურა	0.1	1.2	0.2
8.	მერია/გამგეობა/საკრებულო	-	1.2	-
9.	საოჯახო მეურნეობა	10.8	1.9	12.8
10.	<b>სტუდენტი</b>		6.7	
11.	<b>დიასახლისი<sup>2</sup></b>		15.7	
12.	<b>პენსიონერი/ინგალიდი</b>		13.5	
13.	<b>სხვა (მუცნიერება, ძულტურა, მასმედია, სახელისუფლო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები)</b>		2.3	
14.	<b>უმუშევარი<sup>3</sup></b>		11.3	

• **თვიური შემოსავლის მიხედვით (ოჯახის ყველა წევრის შემოსავლების გათვალისწინებით):**

1. 50 ლარზე ნაკლები – 28.3%
2. 51-200 ლარი – 49.8%
3. 200 ლარზე მეტი – 17.7%
4. მიჰირს პასუხის გაცემა – 4.3%

<sup>2</sup> **დიასახლისის** კატეგორიაში შევიდნენ ის რესპონდენტები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ სახლის (ბინის) საქმეებით და არ მუშაობენ თუნდაც საოჯახო მეურნეობაში. ამასთან, საქუთარი თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ უმუშევართან.

<sup>3</sup> **უმუშევარის** კატეგორიაში შევიდნენ ის რესპონდენტები, რომლებიც არ მუშაობდნენ, სულ მცირე, გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში.

## 2. პროცესორ-მასტაპლებისათვის:

- **თანამდებობის** მიხედვით:
    1. მასტაპლებელი – 15.9%
    2. უფროსი მასტაპლებელი – 9.7%
    3. დოკენტი – 44.1%
    4. პროფესორი – 30.3%
  - **სამუშაოების ხარისხის** მიხედვით:
    1. მეცნიერებათა კანდიდატი – 49.7%
    2. მეცნიერებათა დოქტორი – 24.8%
    3. ხარისხი არა აქვს – 25.5%
  - **სქესის** მიხედვით:
    1. ქალი – 58.6%
    2. მამაკაცი – 41.4%
  - **ასაკის** მიხედვით:
    1. 46 წლამდე – 27.6%
    2. 46-60 წწ. – 47.6%
    3. 60 წელზემეტი – 24.8%
- ## 3. გენარალურისათვის
- **საწარმოს წლიური გაყიდვების მოცულობის** მიხედვით:
    1. 50 000 ლარს ქვემოთ – 1.4%
    2. 50 000 - 10 000 ლარი – 1.4%
    3. 100 000 – 500 000 ლარი – 30.8%
    4. 500 000 ლარს ზემოთ – 41.1%
    5. პასუხი არ არის – 25.3%
  - **უცხოული პარტნიორის (აქციონერის) საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის** მიხედვით:
    1. დიახ – 21.2%
    2. არა – 77.4%
    3. პასუხი არ არის – 1.4%
  - **გადამხდელთა კატეგორიისადმი საწარმოს მიკუთვნებულობის** მიხედვით:
    1. მსხვილი გადამხდელი – 50.7%
    2. სხვა ტიპის – 47.9%
    3. პასუხი არ არის – 1.4%

- **საწარმოში რესპონდენტის მიერ დაკავებული პოზიციის მიხედვით:**
  1. დირექტორი (მენეჯერი) დირექტორის კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების უფლებით – 38.0%
  2. დირექტორი (მენეჯერი) დირექტორის კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების სხვა დირექტორ(ებ)თან ერთად მიღების უფლებით – 59.0%
  3. სხვა – 2.1%

**საველე სამუშაოებში,** მთლიანობაში, მონაწილეობა მიიღო 48 ინტერვიუერმა, რომელთაც აქვთ სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. მათ ჩატარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი კითხვარის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მონაცემების ანალიზი:** პირველადი სოციოლოგიური მასალა დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალიზისას გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა მონაცემების დაჯგუფება და ტიპოლოგიზაცია, კორელაციური ანალიზი, კლასტერული ანალიზი და სხვ. განხორციელებული ანალიზი, ძირითადად, **ალტერითი** ხასიათისაა.

## ზოგადი შეფასებები

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს იმ ფონზე, რასაც, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ მათი თვალსაზრისი ქმნის. კითხვაზე – “როგორ ფიქრობთ, მოვლენები ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად, სწორი თუ არასწორი მიმართულებით ვითარდება?” – რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

- |  |         |
|--|---------|
| 1. სწორი მიმართულებით                      | – 2.2%  |
| 2. უფრო სწორი, ვიდრე არასწორი მიმართულებით | – 9.7%  |
| 3. უფრო არასწორი, ვიდრე სწორი მიმართულებით | – 21.8% |
| 4. არასწორი მიმართულებით                   | – 63.3% |
| 5. მიჰირს პასუხის გაცემა                   | – 3.2%  |

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (85.1%), ძირითადად, უკმაყოფილოა საქართველოში არსებული ვითარებით. ასეთ დამოკიდებულებას თავისი კონკრეტული ადრესატები ჰყავს, რომლებზეც, მეტნაკლები ხარისხით, შეიძლება ვრცელდებოდეს ხეგატიური განწყობა. ამ ადრესატთა შორის, ერთ-ერთ განმსაზღვრული ადგილი საქართველოში არსებულ სოციალურ სტრუქტურებს უკავია. გამოკითხვა ითვალისწინებდა რესპონდენტთა მიერ სხვადასხვა სტრუქტურის საქმიანობის შეფასებას (იხ. ცხრილი №3):

ცხრილი №3


№	სტრუქტურები	დადგბითად (%)	უარყოფითად (%)	მიჰირს პასუხის გაცემა (%)
1.	საქართველოს პარლამენტი	9.6	89.1	1.4
2.	მასმედია	69.3	28.1	2.6
3.	არასამთავრობო სექტორი	45.9	41.3	12.8
4.	საქართველოს მთავრობა	9.0	89.8	1.3
5.	კერძო ბიზნესი	54.8	37.3	7.8
6.	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი)	44.8	32.6	22.7
7.	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია	85.4	9.6	5.1

მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ ჩამოთვლილ სტრუქტურებს შორის, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ფასდება აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) და პარლამენტი. პირიქით, ერთმნიშვნელოვნად დადგებითი შეფასება ხვდა წილად მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობას. გამოკითხულთა უმრავლესობა, ძირითადად, დადგებითად აფასებს, აგრეთვე, მასმედიის და კერძო ბიზნესის სფეროებში მიმდინარე პროცესებს. დადგებითად განწყობილები ჭარბობენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შემფასებელთა შორისაც. საინტერესოა, რომ არასამთავრობო სექტორის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება ამბივალუნგურია: თითქმის თანაბარია დადგებითად და უარყოფითად განწყობილთა რაოდენობა.

\* \* \*

მეწარმეთა და პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაში უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც მკვეთრად ერთმნიშვნელოვანი პოზიცია არა აქვთ, ანუ, აქ უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც “შუალედურ შეფასებებს” აფიქსირებენ (*იხ. დიაგრამა №1*):

სხვადასხვა ფენის რესპონდენტთა განაწილება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების მიხედვით (პროცენტებში)



*დიაგრამა №1*

\* \* \*

მოსახლეობის შერჩევაში არასამთავრობო სექტორის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების ანალიზმა სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრების (სქესი, ასაკი, განათლების ცენტრი, შემოსავალი) მიხედვით მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავებები არ გამოავლინა, თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შეფასებისას შესაძლებელი გახდა გარკვეული ტენდენციების დაფიქსირება (ამაზე დაწერილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

რეგიონების<sup>4</sup> მიხედვით, არასამთავრობო სექტორის მიმართ დამოკიდებულების სურათი ასეთია:

თბილისში დადებითად და უარყოფითად შემფასებლები დაახლოებით თანაბრად არიან განაწილებულნი (46%-43%). შიდა ქართლში, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასების თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი “ბალანსია” (27%-64%). არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ყველაზე დადებითად აფასებენ გურია-სამეგრელოს (62%-26%) და იმერეთის (52%-35%) მაცხოვრებლები (*იხ. ცხრილი №4*):


<sup>4</sup> როგორც ადგიზნეთ, რეგიონალური შერჩევების მოცულობა საქმაოდ მცირეა, შეფასებათა ცდომილებები მერყეობს 5-10 %-ის ფარგლებში 95 %-იანი საიმედოობით.

#### ცხრილი №4

როგორ აფასებთ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას?						
	რეგიონები	დადებითად (%)	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად (%)	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად (%)	უარყოფითად (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	თბილისი	17.2	29.1	14.2	28.8	10.6
2.	კახეთი	9.4	35.4	18.9	15.0	21.3
3.	შიდა ქართლი/ მცხეთა-მთიანეთი	6.2	21.2	31.0	33.6	8.0
4.	ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	11.5	29.8	26.2	22.0	10.5
5.	გურია/სამეგრელო	17.9	43.5	14.9	10.7	13.1
6.	იმერეთი	10.0	42.0	22.0	12.5	13.5
7.	აჭარა	2.0	35.4	27.3	18.2	17.2

მესამე სექტორის მიმართ ზოგად დამოკიდებულებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ის ფაქტი, უთანამშრომლია თუ არა რესპონდენტს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, ის რესპონდენტები, რომლებსაც უთანამშრომლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უფრო დადებითად აფასებენ ზოგადად მესამე სექტორის საქმიანობას (იხ. დიაგრამა №2):

**არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომელ და არათანამშრომელ  
რესპონდენტთა განაწილება არასამთავრობო ორგანიზაციების  
საქმიანობის შეფასების მიხედვით (პროცენტებში)**



#### დიაგრამა №2

## არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობა

გამოკვლევა გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის შეფასებას. ამისათვის გამოყენებულ იქნა როგორც თავად რესპონდენტთა მიერ საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა (**თვითშეფასება**), ასევე ტესტური შეკითხვები, ანუ შეფასების **ობიექტური** მეთოდი. ტესტური შეკითხვები, ძირითადად, გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აღმწერი დებულებების შეთავაზებას რესპონდენტებისათვის. მათ უნდა განესაზღვრათ, რომელი საქმიანობა ან ნიშანია ადგევატური არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და რომელი - არა.

**სუბიექტური თვითშეფასების თვალსაზრისით, რესპონდენტებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს საკუთარი ინფორმირებულობის დონე საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ:**

- |                               |          |
|-------------------------------|----------|
| 1. მაქვს სრული ინფორმაცია     | - 1.4 %  |
| 2. მაქვს საკმარისი ინფორმაცია | - 17.4 % |
| 3. მაქვს მწირი ინფორმაცია     | - 81.2 % |

(შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები აჩვენებს არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მქონე რესპონდენტთა შორის არსებულ განაწილებას. მოსახლეობის შერჩევითი ერთობლიობა (1200) სწორედ ამ კატეგორიის რესპონდენტებს მოიცავდა. ცხადია, ინტერვიუ ვერ შედგებოდა იმ ადამიანებთან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ **საერთოდ არ ფლობენ** ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ასეთი რესპონდენტები ამოგარდნენ შერჩევიდან. თუმცა, საველე სამუშაოებმა აჩვენა, რომ მათი ხვდერითი წილი გაცილებით აღემატება (განსაკუთრებით, პროვინციებში) იმათ, ვინც განაცხადა, რომ ფლობს გარკვეულ ინფორმაციას).

როგორც მონაცემები აჩვენებს, იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, დიდი უმრავლესობა უმაყოფილოა საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხით.

რამდენად **ობიექტურია** რესპონდენტთა თვითშეფასება? როგორც აღინიშნა, ინტერვიუს პროცესში მათ შესთავაზეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აღმწერი ტესტური დებულებები. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ, სწორია თუ არასწორი თითოეული მათგანი (იხ. ცხრილი №5):

### ცხრილი №5

№	დებულებები	სწორია (%)	არ არის სწორი (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება	36.1	40.3	23.7
2.	არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე	46.9	29.8	23.3
3.	არასამთავრობო ორგანიზაციები გათავისუფლებულია ყველა ტიპის გადასახადისგან	21.2	43.4	35.4
4.	არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება იყოს საბიუჯეტო სტრუქტურა	19.9	53.8	26.3
5.	არასამთავრობო ორგანიზაციები არ კავშირის სახით შეიძლება	63.8	6.9	29.3

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილი დებულებები აღწერს არასამთავრობო ორგანიზაციების **ძირითად** მახასიათებლებს და არა მათი საქმიანობის სპეციფიკას რომელიმე სფეროში, უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, ზოგადად, **საქმაოდ დაბალია**:

- რესპონდენტთა **უმრავლესობა** (ნახევარზე მეტი) ან მცდარად პასუხობს, ანდა უჭირს უპასუხოს, რომ ა) არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ **არჩევნებში მონაწილეობის უფლება**; ბ) მათი საქმიანობა არ არის ორიენტირებული **მოვების მიღებაზე**; გ) ისინი არ არიან გათავისუფლებული ყველა ტიპის **გადასახადისაგან**.
- რესპონდენტთა **მესამებზე მეტმა** ან არასწორად იცის, ან უჭირს უპასუხოს, რომ ა) არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, არ შეიძლება იყოს **საბიუჯეტო ორგანიზაცია**; ბ) არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება არსებობდეს **ფონდის** ან **კავშირის** სახით.

შედარებით უკეთესი ვითარებაა, როდესაც საქმე ეხება **კონკრეტულად ორმედიმე ორგანიზაციის** შესახებ ინფორმაციის ფლობას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ის არასამთავრობო სტრუქტურა. რესპონდენტთა უმრავლესობა სწორად მიუთითებს ისეთი ორგანიზაციების იურიდიულ სტატუსზე, როგორიცაა თავისუფლების ინსტიტუტი, კონტროლის პალატა, ეი-ეს-თელასი, ანტიკორუფციული ბიურო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ადსანიშნავია, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა შორის, ყველაზე მაღალი ინფორმირებულობა გამომჟღავნდა **თავისუფლების ინსტიტუტისა** და **კონტროლის პალატის** პროფილის მიმართ). მეორე მხრივ, რესპონდენტთა უმრავლესობას ან საერთოდ არ გაუგია, ან მცდარად პასუხობს, ანდა უჭირს განსაზღვროს არასამთავრობო ორგანიზაციებია თუ არა ფონდი **“დია საზოგადოება – საქართველო”** და **საერთაშორისო საგალუტი ფონდი**.

საბოლოო შედეგები მოცემულია **ცხრილის** სახით (*იხ. ცხრილი №6*):

#### ცხრილი №6


ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია არასამთავრობო ორგანიზაცია?					
№	ორგანიზაციები	არის	არ არის	არ გამიგია	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	62.6	8.6	14.3	14.5
2.	ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო”	44.7	8.0	31.0	16.3
3.	საერთაშორისო საგალუტო ფონდი	28.6	42.6	6.6	22.3
4.	თავისუფლების ინსტიტუტი	85.0	4.9	3.3	6.8
5.	ეი-ეს-თელასი	16.0	69.6	1.8	12.6
6.	ანტიკორუფციული ბიურო	13.9	63.7	5.8	16.7
7.	კონტროლის პალატა	6.5	83.2	1.5	8.8

\* \* \*

## ვინ არის კარგად ინფორმირებული რესპონდენტი სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით?

გამოკითხვის შედეგებით, არასამთავრობო სექტორის შესახებ კარგად ინფორმირებული – ქალაქის, თანაც, დიდი ქალაქის მაცხოველები, ქართველი, 200 ლარზე მეტი შემოსავლის და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდაა (45 წლამდე). ამასთან, იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ (ანუ მთელ შერჩევით ერთობლიობაში), ყველაზე კარგად ინფორმირებული აღმოჩნდა თბილისის, ხოლო, რეგიონებიდან, კახეთის მაცხოველების (იხ. დიაგრამები №№3,4,5,6,7,8)


**სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის  
მიხედვით (პროცენტებში)**



დიაგრამა №3


<sup>5</sup> კახეთის რეგიონში ინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებელი, ცხადია, არ მიუთითებს, ზოგადად, ამ რეგიონის მოსახლეობის მაღალი ინფორმირებულობაზე მესამე სექტორის შესახებ. ეს მონაცემი მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ იმ რესპონდენტებს შორის, ვინც, სუბიექტური თვითშეფასებიდან გამომდინარე, აცხადებს, რომ ულობს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, კახეთის მაცხოველები, ობიექტურად (ტესტური შეკითხვების საფუძველზე), ყველაზე ადგავატური ინფორმაციის ქვეყნის აღმოჩნდნენ (ეს, თავის მხრივ, შეიძლება ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებითაც აიხსნას: კახელები, როგორც წესი, გულწრფელობის მაღალი მაღალი ხარისხით გამოიჩინან). სხვა მხრივ, მთელი მოსახლეობის ინფორმირებულობის თვალსაზრისით, კახეთის რეგიონი, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ცუდად ინფორმირებულიც კი აღმოჩნდეს, რაც საველე სამუშაოების დროს ინტერვიუერთა ანგარიშებიდანაც ჩანს: სხვა რეგიონებთან შედარებით, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ინტერვიუები ვერ ტარდებოდა იმის გამო, რომ ინდივიდები, მათივე აღიარებით, არავითარ ინფორმაციას არ ფლობდნენ არასამთავრობო სექტორის შესახებ.

ქართველი და არაქართველი ეროვნების რესპონდენტთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით  
(პროცენტებში)




დოაგრამა №4

სხვადასხვა განათლების მქონე რესპონდენტთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით  
(პროცენტებში)




დოაგრამა №5

სხვადასხვა შემოსავლის მქონე რესპონდენტთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით  
(პროცენტებში)




დიაგრამა №6

სხვადასხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის  
მიხედვით




დიაგრამა №7

**სოფელ-ქალაქში მცხოვრებთა განაწილება არასამთავრობო  
ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით**



დიაგრამა №8

**რეგიონებში მცხოვრებთა განაწილება არასამთავრობო  
ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით**



დიაგრამა №9

როგორც ინფორმირებულობის ინდიკატორის რიცხობრივი მაჩვენებელი (-2,86) აჩვენებს, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე არასამთავრობო სექტორის რაობის შესახებ საკმაოდ დაბალია<sup>6</sup>.

ინფორმირებულობის ხარისხის მიხედვით **კლასიფიცირებულ რესპონდენტთა პროცენტული განაწილება შემდეგნაირია:**

- |                                 |         |
|---------------------------------|---------|
| 1. ინფორმირებულები              | - 8.7%  |
| 2. მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები | - 25.4% |
| 3. ცუდად ინფორმირებულები        | - 65.9% |

\* \* \*

**მეწარმეთა და პროფესორ-მასწავლებელთა არასამთავრობო სექტორის შესახებ ინფორმირებულობა განისაზღვრა მხოლოდ სუბიექტური შეფასების საფუძველზე (ამ შერჩევებში ტესტური კითხვები გათვალისწინებული არ იყო).**

მეწარმეთა შერჩევაში ყველაზე მეტია იმ რესპონდენტთა წილი (43%), რომლებიც თვლიან, რომ აქვთ საკმარისი ინფორმაცია არასამთავრობო სექტორის შესახებ. პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაში ანალოგიური მაჩვენებელი – 32%-ია.

საინტერესოა, რომ არასამთავრო სექტორის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის შესახებ უფრო მეტად მიუთითებენ ის მეწარმეები, რომლებსაც ჰყავთ **უცხოელი პარტნიორი** (აქციონერი), საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით. სხვა პარამეტრებით (წლიური გაყიდვების მოცულობა, წლიური გაყიდვების მოცულობის დინამიკა) გამოყოფილ ჯგუფებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა.

### **რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს ასახელებენ რესპონდენტები?**

ტესტური შეკითხვების გარდა, რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დია კითხვის პასუხად, **დაესახელებინათ ის არასამთავრობო ორგანიზაციები**, რომელთა საქმიანობასაც იცნობენ, ან რომელთა შესახებაც სმენიათ. რეგიონებში მცხოვრებ რესპონდენტებს შეეძლოთ იმ ორგანიზაციების დასახელებაც, რომლებიც მათ ქალაქში/რაიონში ფუნქციონირებს. საერთო ჯამში, რესპონდენტებმა დაასახელეს 107 არასამთავრობო ორგანიზაცია. რესპონდენტთა მთლიანი შერჩევის გათვალისწინებით, შედარებით მაღალი სისშირით გამოირჩევა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები<sup>7</sup>:

- |   |         |
|---|---------|
| 1. თავისუფლების ინსტიტუტი               | - 55.6% |
| 2. წითელი ჯვარი                         | - 16.8% |
| 3. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია        | - 18.8% |
| 4. ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო” | - 15.2% |

<sup>6</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ **დახვნაში**

<sup>7</sup> სრული სია იხ. **დანართში**

5. პატიმართა უფლებების დაცვის ორგანიზაცია – 5.8%
6. საქართველოს ქალები მშვიდობისათვის – 4.8%
7. გაერო (UNDP) – 4.4%

რაც შეეხება **ცალკეულ რეგიონებს**, გამოკითხვამ აჩვენა განსაზღვრული არასამთავრობო ორგანიზაციების სიხშირული განაწილებები თითოეულ მათგანში (*იხ. ცხრილი №7*):

ცხრილი №7

(%)

	რეგიონი	თავისუფლების ინსტიტუტი									
		ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია									
1.	ცენტრალური (თბილისი)	54	23	10	4	2	1	1	-	-	-
2.	ქახეთი	-	-	4	-	-	-	-	6	4	2
3.	შიდა ქართლი	-	1	-	-	-	-	5	-	-	-
4.	ქვემო ქართლი	-	11	-	-	-	-	-	-	-	-
5.	სამცხე- ჯავახეთი	-	-	-	-	-	-	-	13	-	-
6.	აჭარა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
7.	გურია	-	10	-	-	-	-	-	-	-	-
8.	სამეგრელო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
9.	იმერეთი	-	5	5	-	-	-	13	-	-	-
10.	მცხეთა- მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
		ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ფონდი – “ლია საზოგადოება- საქართველო”	პატიმართა უფლებების დაცვის ორგანიზაცია	სამართლიანი არქებული	ახალგაზრდა მკონომისტთა კავშირი	აღვარის კარი	მითებულებთა კავშირი	ინფალიდთა ასოციაცია	“ექრსი ქორი”	USAID
		თავისუფლების ინსტიტუტი	საზოგადოებრივი სამსახური	ქათარზისი	დაქმოკრატი მესხთა კავშირი	საქართველოს ქალები შეკითხვისათვეს	მესხ ქალთა კავშირი	“ქაბა” (care)	ახალგაზრდა მუცნიერთა ცენტრი	ინგალიდ დედათა და ბავშვთა ასოციაცია	იმედი

(შენიშვნა: ცხრილში დასახელებულია ის ორგანიზაციები, რომლებიც რესპონდენტთა მიერ ჩათვლილია, როგორც არასამთავრობო. ზოგიერთ შემთხვევაში იდენტიფიკაცია მცდარია).

საინტერესოა, რომ ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დადებითად ან უარყოფითად შემფასებელთა მიერ დასახელებულ ორგანიზაციათა ჩამონათვალი არსებითად არ განსხვავდება. სავარაუდოა, რომ ის რესპონდენტი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას უარყოფითად ან დადებითად აფასებს, ასეთ განწყობას უკავშირებენ მათ მიერ დასახელებულ კონკრეტულ ორგანიზაციებს. ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, როგორც წესი, არ უკავშირდება რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. **ეს ნიშნავს, რომ ატიტუდები ამ ორგანიზაციების მიმართ საკმაოდ პოლარიზებულია.** მაგ: იმ რესპონდენტთა 34%, რომლებიც, ზოგადად, დადგებითად აფასებს არასამთავრობო სექტორს, ასახელებს “თავისუფლების ინსტიტუტს”, ამავე დროს, თავისუფლების ინსტიტუტს ასახელებს იმ რესპონდენტთა 33%-იც, რომლებიც არასამთავრობო სექტორს უარყოფითად აფასებს.

\* \* \*

**მეწარმეთა შერჩევაში ყველაზე ხშირად სახელდება შემდეგი ორგანიზაციები:**

თავისუფლების ინსტიტუტი	– 71%
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	– 33%
პატიმართა უფლებების დაცვის ასოციაცია	– 14%
ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო”	– 6%
სამართლიანი არჩევნები	– 6%

**მეწარმეობის მხარდასაჭერად მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (მეწარმეთა შერჩევაში) ყველაზე ხშირად სახელდება:**

გადამხდელთა კავშირი	– 5%
თავისუფლების ინსტიტუტი	– 3%
მეწარმეთა კავშირი	– 2%

მეწარმეთა 82%-ს უჭირს ამ ტიპის ორგანიზაციის დასახელება.

**პროფესორ-მასტერებულებებითა შერჩევაში ყველაზე ხშირად სახელდება შემდეგი ორგანიზაციები:**

- თავისუფლების ინსტიტუტი – 34%
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – 16%
- ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო” – 9%
- სამართლიანი არჩევნები – 5%

**უმაღლესი განათლების პრობლემებზე ორიენტირებული ორგანიზაციებიდან ყველაზე ხშირად სახელდება:**

- ფონდი – “დია საზოგადოება - საქართველო” – 10%
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – 5 %

ადსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა 64%-ს უჭირს უმაღლესი განათლების პრობლემებზე ორიენტირებული **თუნდაც ერთი** არასამთავრობო ორგანიზაციის დასახელება.

### **ინფორმაციის წყაროები**

გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის განსაზღვრას, თუ რა წარმოადგენს რესპონდენტთათვის **ინფორმაციის მიღების წყაროებს** არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- |  |         |
|--|---------|
| 1. საინფორმაციო საშუალებები (პრესა, რადიო, ტელევიზია)    | – 92.3% |
| 2. ნაცნობ-მეგობრები                                      | – 17.0% |
| 3. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალები | – 2.3%  |
| 4. პირადად კონამშრომლობ                                  | – 2.9%  |

როგორც მონაცემები აჩვენებს, **მასშიდის საშუალებები** ძირითადი წყაროა რესპონდენტთათვის არასამთავრობო სექტორის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

\* \* \*

ამ თვალსაზრისით, ანალოგიური მდგომარეობაა **პროფესორ-მასწავლებლთა** და **მეწარმეთა** შერჩევაში.

**არასამთავრობო ორგანიზაციების ბავლენისა და საქმიანობის  
შეზასხვა სხვადასხვა სფეროში**

### **არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა**

სოციოლოგიური გამოკითხვა ითვალისწინებდა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენისა და საქმიანობის შეფასებას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამასთან, კითხვების ამ ბლოკს უნდა შეემოწმებინა, რამდენად სტაბილურია რესპონდენტთა შესავალ კითხვებში დაფიქსირებული ზოგადი განწყობა, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ ამბიგალენტური დამოკიდებულება გამოავლინა. კერძოდ, როგორც აღინიშნა, რესპონდენტებს გაუჭირდათ გამოეთქვათ მკვეთრად პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება და მათი პოზიციები, ამ თვალსაზრისით, გაიყო.

კითხვაზე: “**თქვენი აზრით, რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?**” – რესპონდენტთა პოზიციები ასე განაწილდა:

- |  |         |
|--|---------|
| 1. ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს        | – 5.8%  |
| 2. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს | – 24.9% |
| 3. მცირე გავლენას ახდენს                     | – 42.2% |
| 4. საერთოდ არ ახდენს გავლენას                | – 18.0% |
| 5. მიჭირს პასუხის გაცემა                     | – 9.1%  |

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა **უფრო დიდი ნაწილი** აღიარებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე **მცირება**. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ გამოკითხულთა გარკვეული რაოდენობა ასეთი გავლენის არსებობას საერთოდ უარყოფს, ამ ორი პოზიციის მქონეთა რაოდენობა ჯამში გამოკვეთილ **უმრავლესობას** შეადგენს.

\* \* \*

არასამთავრობო ორგანიზაციების **მცირე გავლენაზე** საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მიუთითებს **მეწარმეთა უმრავლესობა** (54%) და **პროფესორ-მასწავლებელთა** მნიშვნელოვანი ნაწილიც (45%).

### არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება სხვადასხვა სფეროში

გამოკითხვამ დაადასტურა, რომ რესპონდენტთა აღნიშნული პოზიცია არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის დაბალი ხარისხის შესახებ, **რელევანტურია ამ ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებისა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.** თითქმის ყველა ჩამოთვლილ სფეროში საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა **უფრო მეტად უარყოფითად ფასდება.** გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ **უროვნეული უმცირესობების უფლებების დაცვა** – ამ სფეროში არასამთავრობო აქტივობის დადებითად შემფასებელთა რაოდენობა აღემატება უარყოფითი პოზიციის მქონეებს. დადგებით და უარყოფით შემფასებელთა ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია ისეთ სფეროსთან მიმართებაში, როგორიცაა **რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა** – ამ სფეროში დადებითად და უარყოფითად განწყობილთა პოზიციები გაიყო. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რესპონდენტთა ის კატეგორია, რომელიც აღნიშნულ სფეროში არასამთავრობო სექტორის საქმიანობას უარყოფითად აფასებს, **პომოვენური** არ არის – მათ შორის არსებობს განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები რელიგიური უმცირესობების უფლებებს **ზედმეტად იცავენ** და, ამდენად, მათი საქმიანობა ამ მიმართულებით ნეგატიურად უნდა შეფასდეს. ეს ნაწილი პრინციპულად განსხვავებულ პოზიციას იკავებს იმათგან, ვინც მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობების უფლებები **არასაჯმარისადაა** დაცული. თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, ცხადია, შემცირდება იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს რელიგიური უმცირესობების დაუცველობას საყვედურობს.

გამორჩეულად უარყოფით შეფასებას იმსახურებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ა) ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა; ბ) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და გ) ხელისუფლების ქმედებების კონტროლი.

დადებითი შეფასება კიდევ უფრო მეტად იკლებს მაშინ, როდესაც საქმე სპეციფიკურად ამა თუ იმ რეგიონის რომელიმე რაიონში ან ქალაქში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხება: ყველა ჩამოთვლილ სფეროში რესპონდენტები ან ძირითადად უარყოფითად აფასებენ, ანდა უჭირთ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატონ ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მოდგაწეობის მიმართ.

### სრული შედეგები მოცემულია ცხრილზე №8:

#### ცხრილი №8

№	სფეროები	საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები			სპეციფიკურად ამა თუ იმ რეგიონის რაიონში/ქალაქში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები		
		დადებითად (%)	უარყოფითად (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	დადებითად (%)	უარყოფითად (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	ბავშვთა უფლებების დაცვა	37.2	44.4	18.3	20.7	42.9	36.4
2.	ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	45.7	34.0	21.4	22.3	32.1	45.6
3.	რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა	41.9	45.0	13.1	22.2	31.2	46.6
4.	ქალთა უფლებების დაცვა	31.5	49.6	18.9	19.2	43.4	37.4
5.	ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა	13.4	73.0	13.7	7.3	58.6	34.1
6.	არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	25.7	59.9	14.3	15.5	47.7	36.8
7.	ხელისუფლების ქმედების კონტროლი	18.0	65.3	16.4	4.2	57.1	38.6
8.	საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება	33.8	53.5	12.8	22.8	43.6	33.5
9.	საგანმანათლებლო საქმიანობა (მოსახლეობისათვის აუცილებელი ინფორმაციის გავრცელება)	32.5	49.1	18.5	16.4	42.3	41.3
10.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	21.8	66.3	11.9	4.8	59.3	35.9
11.	დემოკრატიული/სამოქალაქო დირექტულების დამკაიდრება	30.4	46.6	23	10.3	45.2	44.3
12.	სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა	23.1	52.9	24.1	10.3	48.8	40.9

(შენიშვნა: რეგიონებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებას ახდენდნენ მხოლოდ თბილისის გარეთ მცხოვრები რესპონდენტები. ამდენად, მონაცემები დათვლილია შერჩევითი ერთობლიობიდან მიხეს თბილისის შერჩევა).

\* \* \*

**მეწარმეთა შერჩევა** დადგებითად აფასებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების (70%), რელიგიური უმცირესობების დაცვის (64%), ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის (57%) სფეროებში. ამ ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობა, ძირითადად, უარყოფითად აფასებს არასამთავრობო სექტორის მუშაობის შედეგებს სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა (62%) და ეკოლოგიურ სფეროებში (57%).

**პროფესორ-მასწავლებელთა** გამოკვეთილი უმრავლესობა, ძირითადად, უკმაყოფილოა არასამთავრობო სექტორის საქმიანობით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა (77%), უმაღლესი განათლების რეფორმისთვის ხელშეწყობა (71%), ხელისუფლების ქმედებების კონტროლი (71%), არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა (68%). დადგებითად ფასდება მესამე სექტორის მოღვაწეობა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის (55%) და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისთვის (54%).

### **რომელ სფეროშია აუცილებელი არასამთავრობო სექტორის გააქტიურება?**

თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ შეფასებებს, რელევანტურად უნდა მივიჩნიოთ რესპონდენტთა თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ **რომელ სფეროშია აუცილებელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურება საქართველოში:** რამდენადაც, გამოკითხულთა მიხედვით, თითქმის არ მოიძებნება ისეთი სფერო, რომელშიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობა, ძირითადად, დადგებითად შეიძლება შეფასდეს, შესაბამისად, როულდება ერთმნიშვნელოვნად გამოიყოს ისეთი სფერო, რომელშიც ყველაზე მეტად, ან ყველზე ნაკლებადაა მიზანშეწონილი არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩარევა. ერთგვარ გამონაკლისს, ამ შემთხვევაშიც, წარმოადგენს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა: რესპონდენტები ამ სფეროებში ყველაზე ნაკლებად აღიარებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობას, რამდენადაც (როგორც წინა მონაცემებმა აჩვენა) აღნიშნული მიმართულებით მათი მოღვაწეობა შედარებით დადგებითად ფასდება. ისიც დოგიკურია, რომ რამდენადმე აქცენტირებულად რესპონდენტები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას მოითხოვენ.

### **საბოლოო შედეგები ასე გამოიყერება:**

- |   |         |
|---|---------|
| 1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა                        | - 48.7% |
| 2. ბავშვთა უფლებების დაცვა                            | - 34.1% |
| 3. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა                  | - 28.8% |
| 4. საქალამოქმედო საქმიანობა/პუმანიტარული დახმარება    | - 22.4% |
| 5. ხელისუფლების ქმედებების კონტროლი                   | - 21.6% |
| 6. საგანმანათლებლო საქმიანობა                         | - 18.3% |
| 7. კერძო ბიზნესისათვის ხელშეწყობა                     | - 17.8% |
| 8. ქალთა უფლებების დაცვა                              | - 16.2% |
| 9. არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა       | - 15.7% |
| 10. დემოკრატიული/სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება | - 8.9%  |
| 11. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა            | - 3.0%  |
| 12. რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა            | - 4.3%  |

\* \* \*

კორუფციასთან ბრძოლა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უპირვე-ლესი საზოგადოებრივი “დაკვეთა” როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. ქალაქების და სოფლების მოსახლეობა მეორე პრიორიტეტად არასამ-თავრობო სექტორისთვის ბავშვთა უფლებების დაცვას მიიჩნევს.

ქალაქების და სოფლების მოსახლეობა “თანხმდება”, აგრეთვე, მნიშვნე-ლობით მესამე პრობლემის განსაზღვრაშიც. ორივე ტიპის დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ერთნაირი წილი (28.8%) მიიჩნევს, რომ აუცი-ლებელია მესამე სექტორის გააქტიურება ეკოლოგიურ სფეროში. რაც შექ-ხება დანარჩენ პრიორიტეტებს, აქ ქალაქის მოსახლეობისთვის უფრო აქტუალურია ხელისუფლების ქმედებების კონტროლი (24.9%), ხოლო სოფლების მოსახლეობისთვის საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება (26.7%).

**რეგიონების** მიხედვით ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველა რეგიონი მესამე სექტორისგან ისევ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში მოითხოვს გააქტიურებას. კორუფციასთან ბრძოლა მხოლოდ აჭარაში ჩამორჩება უმნიშვნელოდ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას. მეორე და მესამე პრიორიტეტებია ბავშვთა უფლებების დაცვა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა.

ბავშვთა უფლებების დცვა მეორე პრიორიტეტად დასახელდა იმერეთში (50.5%), გურია-სამეგრელოსა (40.5%) და თბილისში (31.8%), ხოლო, ეკოლო-გიური პრობლემების მოგვარება ქვემო ქართლში, სამცხე ჯავახეთში (32.7%), შიდა ქართლში (32.7%) და კახეთში (25.2%).

\* \* \*

ბუნებრივია, რომ **მეწარმეთა** შერჩევაში რესპონდენტები მოითხოვენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებას სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის სფეროში (26%). გარდა ამისა, შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება შემდეგი სფეროები:

- ადამიანის უფლებების დაცვა – 22%
- კორუფციასთან ბრძოლა – 19%
- ეკოლოგიური პრობლემები – 13%.

**პროფესორ-მასწავლებელთა** ჯგუფში მოითხოვენ არასამთავრობო სექტო-რის გააქტიურებას კორუფციასთან ბრძოლის (16%), ბავშვთა უფლებების დაცვის (11%), ხელისუფლების ქმედებების კონტროლის (10%) სფეროებში. უმაღლესი განათლების რეფორმისთვის ხელშეწყობა შედარებით ნაკლები სიხშირით (9%) სახელდება. სავარაუდოა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ამ სფეროში “დოკომოტივის” როლში სხვა სტრუქტურებს მოიაზრებენ.

## პრობლემები, რომელთა გადაჭრა არასამთავრობო სექტორს შეუძლია

შეთავაზებული სფეროების გარდა, რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დია კითხვის პასუხებში, საკუთარი ინიციატივით დაესახელებინათ ქვეყნის წინაშე მდგარი ის პრობლემები, რომელთა მოგვარებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება. გამოკითხვის პროცესში რესპონდენტებმა დაასახელეს 70-მდე პრობლემა, თუმცა, მათ შორის, შედარებით ხშირად დასახელდა შემდეგი:

- |  |         |
|--|---------|
| 1. ყველა სახის სოციალური პრობლემა          | – 14.3% |
| 2. მოსახლეობის დასაქმება                   | – 12.4% |
| 3. კორუფციასთან ბრძოლა                     | – 9.8%  |
| 4. ადამიანის უფლებების დაცვა               | – 8.7%  |
| 5. ეკონომიკური პრობლემების მოგვარება       | – 6.2%  |
| 6. ჰუმანიტარული დახმარება და მისი კონტროლი | – 5.2%  |
| 7. განათლების სისტემის რეფორმა             | – 5.1%  |
| 8. ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება         | – 4.3%  |

(შენიშვნა: დანარჩენი დასახელებული თითოეული პრობლემის ხვედრითი წილი 2%-ზე ნაკლებია. სრული სია იხილეთ დანართში).

პრობლემების ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, პირველ რიგში, სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის ხელშეწყობას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, რაც არასამთავრობო სექტორის ძირითად ფუნქციად მოიაზრებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, გაუჩნდა აღტერნატივა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას სოციალური პრობლემების გადაჭრასაც უკავშირებს. ამასთან, სოციალურ საკითხებს შორის აქცენტი უმუშევრობის პრობლემაზე დაისმის. როგორც ჩანს, რესპონდენტები არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად სწორედ სამუშაო ადგილების შექმნას მიზნევენ.

\* \* \*

გამოკითხულ მეწარმეთა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი (43%) თვლის, რომ სამეწამეო საქმიანობასთან დაკავშირებული იმ პრობლემებიდან, რომლების მოგვარებაშიც არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, უპირველესი მნიშვნელობისაა საგადასახადო კოდექსის ნაკლოვანებებზე მუშაობა. დასახელდა, აგრეთვე, ისეთი პრობლემები, როგორებიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (6%), კონტრაბანდის აღკვეთა (3%).

უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემებიდან, რომელთა გადაჭრაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ, **პროფესორ-მასწავლებლები** ასახელებენ:

1. სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება – 16%
2. დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები – 14%
3. უმაღლესი განათლების რეფორმაში მხარდაჭერა – 5%
4. დახმარება მისაღები გამოცდების სისტემის სრულყოფაში – 4%
5. კორუფციასთან ბრძოლა – 3%
6. დახმარება კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში – 3%

### არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელისუფლება

მთავრობასა (ხელისუფლებასა) და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას სხვადასხვა ასპექტი აქვს. არსებობს საზოგადოების ისეთი მოდელი, სადაც მთავრობა განსაზღვრულ ფუნქციებს ისესნის, რომელთა ეფექტურად შესრულებას არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურები უზრუნველყოფს. ცნობილია, რომ საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტი ფუნქციის დელეგირება ხდება არასამთავრობო/კერძო სტრუქტურებისათვის, ანუ რაც უფრო ნაკლებად ერევა ხელისუფლება სოციალური ცხოვრების ისეთ სფეროებში, რომლებიც ავტონომიური რეგულირების შესაძლებლობებს შეიცავს ადამიანთა კერძო ინიციატივით შექმნილი ორგანიზაციების მეშვეობით.

გამოკითხვა ითვალისწინებდა რესპონდენტთა ატიტუდების შესწავლას იმ თვალსაზრისით, თუ რაზე ახდენენ ისინი ორიენტაციას – **მთავრობის მიერ საზოგადოების ტოტალურ მართვაზე** თუ **პასუხისმგებლობის განაწილებაზე** მთავრობასა და არასამთავრობო სტრუქტურების შორის. ამგვარი ატიტუდების შესწავლა, გარკვეულწილად, ამა თუ იმ საზოგადოების მემარცხენე/მემარჯვენე ორიენტაციის ერთ-ერთ მაჩვენებლადაც ითვლება.

ორი ალტერნატიული დებულებიდან რესპონდენტებს უნდა ამოერჩიათ ის, რომელსაც უფრო ეთანხმებოდნენ (**იხ. ცხრილი №9**):

#### ცხრილი №9

Nº		გეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	მთავრობა მხოლოდ რამდენიმე ბაზისურ პრობლემას უნდა წყვეტდეს, დანარჩენი პრობლემები კი არასამთავრობო ორგანიზაციებმა და კერძო სტრუქტურებმა უნდა გადაჭრან	36.3	6.8
2.	უმჯობესია, ქვეყანაში არსებული პრობლემების უმრავლესობა მთავრობამ გადაწყვიტოს	56.9	

მონაცემები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა საზოგადოებივი ცხოვრების მართვაში მთავრობის უაღმტერნატივო ჩართულობის (მონაწილეობის) მომხრეა. ამ თვალსაზრისის გამომხატველ რესპონდენტებს პირობითად შეიძლება “სტეიტისტები” (ინგლისური სიტყვიდან – State) ვუწოდოთ. საინტერესოა, რომ ამგვარი ინერციული პატერნალისტური ცნობიერება უფრო მკვეთრადაა გამოხატული მეწარმეთა (“სტეიტისტები” – 65%) და პროფესორ-მასწავლებელთა (62%) ჯგუფებში.

\* \* \*

“სტეიტისტები” არ აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პროფილი სოციალურმოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით. ასაკით, სქესით, განათლების ცენტრით, ურბანიზაციის ხარისხით გამოყოფილ ქვეჯუფებში ამ მახასიათებელთან მიმართებაში მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავებები არ დაფიქსირდა.

\* \* \*

“სტეიტიზმის” მაღალი მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, საზოგადოების განვითარების კულტურულ-ისტორიული ფაქტორების სიმრავლითად გამოწვეული. ამ ფაქტორების შესწავლა მოცემული კვლევის ამოცანებს სცილდება. თუმცა, კვლევამ გამოავლინა გარკვეული კავშირი “სტეიტიზმის” მაჩვენებელსა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას შორის. კერძოდ, *იხ. რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობას დადგებითად აფასებენ, “სტეიტიზმის” უფრო ნაკლებ ხარისხს ავლენენ.* სავარაუდოა, რომ არასამთავრობო სექტორის მიმართ ატიტუდის ცვლილება დადგებითი მაჩვენებლისკენ, აისახება საზოგადოებაში “სტეიტიზმის” მაჩვენებლებზე.

“სტეიტიზმის” გამოხატულებად ჩაითვლება ისიც, რომ თვით ისეთი სოციალური პრაქტიკის განვითარება, როგორიცაა დემოკრატია, რომლის ერთ-ერთ უპირველეს ინდიკატორს არასამთავრობო სტრუქტურების აქტიურობა წარმოადგენს, რესპონდენტების უმრავლესობას, ხელისულების საქმედ მიაჩნია. კითხვაზე: “რას უნდა დაეყრდნოს უფრო მეტად საქართველოში დემოკრატის განვითარება: ხელისუფლების ძალისხმეულობის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობას?” – პასუხები ასე განაწილდა:

1. უფრო მეტად ხელისუფლების ძალისხმეულობის – 56.9%
2. უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობას – 31.3%
3. მიჭირს პასუხის გაცემა – 11.8%

მიუხედავად ამისა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს რესპონდენტების უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციებს განიხილავს, როგორც დემოკრატიისათვის საზიანო ძალას. ამას ალტერნატიულ მოსაზრებებს შორის მათ მიერ გაკეთებული არჩევანი ადასტურებს (*იხ. ცხრილი №10*):

*ცხრილი №10*

Nº		გეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებას	65.0	20.2
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში ქაოსს და უწესრიგობას ამკვიდრებს	14.8	

ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის დამოკიდებულება, არცოუ იშვიათად, ანტაგონისტურია, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ხელისუფლების ქმედების კონტროლი და კრიტიკა წარმოადგენს. შესაბამისად, ხელისუფლება ხშირად დაინტერესებულია, მოახდინოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ბლოკირება. თუმცა, არასამთავრობო სექტორის განვითარებას ხელი შეიძლება სხვა ძალებმაც ან ფაქტორებმაც შეუშალოს. რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, განესაზღვრათ, **უკლაზე მეტად რომელი ხელისშემსლელი ფაქტორები მოქმედებენ საქართველოში.** გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს (*იხ. ცხრილი №11*):

*ცხრილი №11*

Nº	უკლაზე მეტად, რა უშლის ხელს საქართველოში არასამთავრობო სექტორის განვითარებას?	(%)
1.	სახელისუფლებო სტრუქტურები	36.9
2.	თავად არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტური საქმიანობა	22.4
3.	არასამთავრობო ორგანიზაციები არ არის თავისუფალი, ისინი, ძირითადად, დამფინანსებლის ინტერესებს ემსახურება	21.3
4.	მოსახლეობის პასიურობა	21.2
5.	არასაკმარისი ფულადი სახსრები	18.8
6.	გადასახადების მაღალი განაკვეთები	5.9
7.	<b>სერიოზული ხელისშემსლელი მიზეზი არ არსებობს</b>	5.5

\* \* \*

**მეწარმეთა ჯგუფში** არსებითად მეორდება ზემოთ აღწერილი ტენდენცია, თუმცა, მეწარმეები უფრო ხშირად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ არის თავისუფალი და ისინი, ძირითადად, დამფინანსებლის ინტერესებს ემსახურება (23%). რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფს, ისინი უფრო ხშირად მიუთითებენ თავად არასამთავრობო სექტორის არაეფექტურ მუშაობაზე (25%).

\* \* \*

ის, რომ ხელისუფლება არასამთავრობო სექტორის განვითარებას აფერხებს, რესპონდენტთა თვალსაზრისით, უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების რეაქციას არასამთავრობო ორგანიზაციების ოპოზიციურ მოღვაწეობაზე. ამას ადასტურებს გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, რესპონდენტებისათვის შეთავაზებულ ორ ალტერნატიულ დებულებას შორის, პოზიციები ასე ნაწილდება (*იხ. ცხრილი №12*):

#### *ცხრილი №12*

Nº		გეთანხმები (%)	მიჰირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები მოქალაქეებს იცავს სახელმწიფოს ძალადობისაგან (სახელმწიფო სტრუქტურების თვითნებობისაგან)	57.7	32.4
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უშლის სახელმწიფოს იზრუნოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ	9.9	

#### არასამთავრობო სექტორის დაფინანსების წყაროები

როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაციები დაფინანსებას შეიძლება სხვადასხვა წყაროდან იღებდნენ. დღეს საქართველოში მოქმედ არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მირითადად, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტები არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას არა მხოლოდ მომავალი 10 წლის განმავლობაში ვარაუდობენ, არამედ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს პრინციპულურ განიხილავენ როგორც დაფინანსების ყველაზე ადემაგატურ წყაროს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით, გამოკითხვის შედეგები ასეთია: კითხვაზე – “ძირითადად ვინ/რა უნდა აფინანსდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში?” – პასუხები ასე განაწილდა:

1. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები – 53.3%
2. კერძო სექტორის წარმომადგენლები/ბიზნესმენები – 44.2%
3. სახელმწიფო ბიუჯეტი – 18.9%
4. მოქალაქეების შემოწირულობები – 13.1%

როგორც ჩანს, დონორი ორგანიზაციების გარდა, რესპონდენტები ბიზნესმენებაც მოიაზრებენ როგორც დაფინანსების ერთ-ერთ მირითად წყაროს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთ პერსპექტივას ისინი უახლოესი 10 წლის განმავლობაში ვერ ხედავენ. ამას ორ ალტერნატიულ დებულებას შორის მათ მიერ გაკეთებული არჩევანი ადასტურებს (*იხ. ცხრილი №13*):

ცხრილი №13

№		გეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	საქართველოს მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველოს შეუმცირდეს დახმარება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან, ეს შეაფერებს არასამთავრობო სექტორის განვითარებას საქართველოში	55.7	
2.	არასამთავრობო ორგანიზაციების მომავალი უახლოესი 10 წლის განმავლობაში არ არის დამოკიდებული მხოლოდ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე, რადგან გაიზრდება მათი დაფინანსება ქართველი ბიზნესმენების და მოქალაქეების შემოწირულობების ხარჯზე	24.8	19.5

\* \* \*

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს მესამე სექტორის უპირველესი დამფინანსებლად მოიაზრებენ **მეწარმეთა** და **პროფესორ-მასწავლებელთა** ჯგუფებშიც. მეწარმეთა ჯგუფის რესპონდენტები, მოსახლეობის შერჩევასთან შედარებით, უფრო ნაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებენ ბიზნეს-სექტორს (29%). გამოკითხულ მეწარმეთა 19% თვლის, რომ მესამე სექტორს მოსახლეობა უნდა დაეხმაროს ფინანსურად.

საინტერესოა, რომ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციების მომავლის უფრო პესიმისტურ პროგნოზს იძლევიან პროფესორ-მასწავლებელთა და მეწარმეთა ჯგუფები: გამოკითხულ მეწარმეთა 62% და პროფესორ-მასწავლებელთა 73% მიიჩნევს, რომ საკმარისია მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველოს შეუმცირდეს დახმარება დონორი ორგანიზაციებისგან, არასამთავრობო სექტორის განვითარება შეფერხდება.

არასამთავრობო სექტორის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაში განსაკუთრებით საინტერესოა **მეწარმეთა**, როგორც არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი **პოტენციური დამფინანსებლის** აზრი:

გამოკითხულ მეწარმეთა 64% მიიჩნევს, რომ კერძო სექტორი არასამთავრობო ორგანიზაციებს არასაკმარისად ეხმარება.

მეწარმეთა შერჩევაში, ფაქტობრივად, **გერ დახახელდა** ის არასამთავრობო ორგანიზაციები (ფონდები, კავშირები), რომლებსაც ქართველი ბიზნეს-მენები აფინანსებენ (თითო ორგანიზაცია დასახელდა მხოლოდ შვიდი მეწარმის მიერ<sup>8</sup>).

<sup>8</sup> ამ ორგანიზაციათა ჩამონათვალი იხ. **დანართში**

გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 18% მიუთითებს, რომ უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციასთან და მათგან მხოლოდ 17%-მა გაუწია არასამთავრობო სექტორს ფინანსური დახმარება.

51% მიიჩნევს, რომ კერძო სექტორის მხრიდან არასამთავრობო სექტორის ფინანსური ხელშეწყობისთვის აუცილებელია ქველმოქმედების შესახებ კანონის ამოქმედება.

როდესაც მეწარმეები მიუთითოთებენ კერძო სექტორის მხრიდან არასამთავრობო სექტორისთვის **არახაკმარისი ფინანსური ხელშეწყობის მიზეზებზე**, უფრო ხშირად სახელდება ის მიზეზები, რომლებიც არ არის დაკავშირებული **თვით არასამთავრობო სექტორის უარყოფით შეფასებასთან**: მეწარმეთა 67% მიიჩნევს, რომ ბიზნესექტორს საქართველოში არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, 48% - ამ ორ სექტორს შორის ფინანსური თანამშრომლობის არასაკმარის დონეს მიაწერს იმ ფაქტს, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საგადასახადო შედავათებს არასამთავრობო სექტორისთვის ფინანსური ხელშეწყობის შემთხვევაში. გამოკითხულთა 43% თვლის, რომ მეწარმეებს არ აქვთ გაცნობიერებული არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა (ეს მაჩვენებელი, რომელიც **სუბიექტურ ფაქტორზე** მიანიშნებს, საკმაოდ მაღალია და მოწმობს მეწარმეთა თვითკრიტიკულ დამოკიდებულებაზე. ასეთი შედეგი მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც საქართველოს ბიზნესექტორში ჩატარებული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ მეწარმეები უფრო ხშირად ამა თუ იმ არასასურველი მოვლენის გამომწვევ გარეგან, ობიექტურ მიზეზებზე მიუთითებენ).

როგორც აღვნიშნეთ, დაფინანსების საკითხებთან მიმართებაში, მეწარმეთა შედარებით მცირე რაოდენობა მიუთითებს **თვით არასამთავრობო ორგანიზაციების** მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე. კერძოდ, 13% თვლის, რომ არასამთავრობო სექტორის საქმიანობა არაეფექტურია და მის ფინანსურ ხელშეწყობას აზრი არა აქვს; 10% მიიჩნევს, რომ კერძო სექტორი იმის გამო არ ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ისინი კერძო პირების და ორგანიზაციების ინტერესებს ემსახურება, მხოლოდ 9% მიუთითებს იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს კერძო სექტორიდან არ აქვთ ფინანსური ხელშეწყობა მათი კორუმპირებულობისა და თანხების არამიზნობრივი ხარჯების გამო.

(**შენიშვნა:** მეწარმეებს საშუალება ეძლეოდათ დაესახელებინათ ერთზე მეტი მიზეზი. ამის გამო, პასუხების განაწილება აჭარბებს 100%-ს).

მიუხედავად კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის “არშემდგარი” ეფექტური ფინანსური თანამშრომლობის მიზეზების ამგვარი დახასიათებისა, იმ მეწარმეებიდან, რომლებიც ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას არც ერთმა არ აირჩია ასეთი საქმიანობის ფორმად უკვე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. ქველმოქმედთა 96% უშუალოდ ეხმარება პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, ხოლო 4%-მა დააფუძნა საკუთარი ფონდი.

ქველმოქმედების უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განხორცილებაზე მეწარმეთა შედარებით მცირე ნაწილი ამბობს უარს იმ მოტივით, რომ ასეთ შემთხვევაში თანხები ორგანიზაციის დაბეგვრის რეფიზი მოექცევა. ძირითადი ნაწილის ასეთი განწყობის მიზეზი იმის შიშია, რომ შესაძლებელია თანხებმა რეალურ ადრესატამდე გერ მიაღწიოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა არაპეტილსინდისიერების გამო. ამდენად, არასამთავრობო ორგანიზაციების არასაკმარისი დაფინანსების გამო ბიზნესსექტორის მხრიდან დეკლარირებული “სინანულის” ფონზე, ბიზნესმენთა რეალური მოღვაწეობა მაინც არასამთავრობო სექტორის “ფინანული კუთილსინდისიერებისადმი” უნდობლობის მაღალ ხარისხს უჩვენებს.

საქველმოქმედო საქმიანობის ფორმის არჩევანის შესაძლებლობა გამოკითხვის პროცესში მიეცათ იმ მეწარმეებსაც, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობას გერ ეწევიან. კითხვაზე: “ქველმოქმედებისთვის ფინანული შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რომელ ფორმას აირჩევდით?” – შესაბამისი კატეგორიის მხოლოდ 8%-მა აირჩია უკვე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. 31% არჩევდა საკუთარი ფონდის დაფუძნებას და ყველაზე დიდი ნაწილი (56%) ისევ უშუალოდ პიროვნებებისა და ორგანიზაციების დახმარებას ირჩევს.

“პოტენციური ქველმოქმედებიც” (61%) უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით “პიპოთეტურ” საქველმოქმედო საქმიანობაზეც კი უარს აცხადებენ იმის გამო, რომ შესაძლებელია თანხებმა რეალურ ადრესატამდე გერ მიაღწიოს და მხოლოდ 21% ასახელებს ამგვარი უარის მოტივად იმის საფრთხეს, რომ თანხები ორმაგი დაბეგვრის რეჟიმში მოექცევა.

მეწარმეთა მხრიდან არასამთავრობო სექტორის მიმართ თანხების მიზნობრივი ხარჯების საკითხში ამგვარი უნდობლობის და, ზოგადად, საქართველოს ბიზნესსექტორში (და მთლიანად კულტურალურ გარემოში) პერსონალურ ურთიერთობებზე დამყარებული ტრანსაქციების პრიორიტეტულობის ფონზე, ნაკლებად საგარაულოა, რომ უახლოეს მომავალში უკვე არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღონ მნიშვნელოვანი ფინანული დახმარება ბიზნესსექტორის მხრიდან.

### კორუმპირებულია თუ არა არასამთავრობო სექტორი?

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას, მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვრავდეს მათი კორუმპირებულობის შესახებ წარმოდგენა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრი, ამ მიმართულებით, ძალის და კორმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული არ არის:

- მართალია, სახელისუფლო სტრუქტურებთან (პარლამენტი, მთავრობა, გამგეობა/მერია, საკრებულო) შედარებით, რომელთა კორუმპირებულობაზე მოსახლეობის უმრავლესობა მიუთითებს, არასამთავრობო ორგანიზაციების (როგორც ადგილობრივი, ისე საერთა-

შორისო) კორუმპირებულობას გამოკითხულთა კველაზე მცირე ნაწილი (საშუალოდ მეოთხედი) აღნიშნავს, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტები კატეგორიულად არ/ვერ ამტკიცებენ არასამთავრობო ორგანიზაციების არაკორუმპირებულობას: ასეთი პოზიციის მქონე რესპონდენტები უმრავლესობას არ ქმნიან.

- არასამთავრობო ორგანიზაციების კორუმპირებულობის შეფასებისას, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (საშუალოდ 30%) **თავის შეკავებას** ამჯობინებს, რაც არცერთ სხვა სტრუქტურასთან მიმართებაში არ ვლინდება.
- მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კორუმპირებულობის მაღიარებელი არ აღემატებიან იმათ, ვინც **მასშედის** შესახებ ანალოგიური პოზიციის მქონეა - რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა მასმედიის არაკორუმპირებულობაზე მიუთითებს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არ ფიქსირ-დება.
- საერთო ჯამში, იმ რესპონდენტების ხელითი წილი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების არაკორუმპირებულობასა ან კორუმპირებულობაზე მიუთითებენ, **უმრავლესობას** ვერ აყალიბებს.

სრული შედეგები მოცემულია **ცხრილის** სახით (*იხ. ცხრილი №14*):

*ცხრილი №14*

№	რამდენად კორუმპირებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურები?	ძლიერდებოდა (%)	არაძლიერდებოდა (%)	ესპერისტული გაცემა (%)
1.	პარლამენტი	88.6	7.4	4.0
2.	მთავრობა	91.7	5.4	3.0
3.	გამგეობა/მერია	78.0	16.6	5.5
4.	საკრებულო	58.6	29.2	12.3
5.	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	26.5	32.8	30.8
6.	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	22.6	47.6	29.8
7.	მასმედია	24.7	67.0	8.3

ის გარემოება, რომ მოსახლეობას არასამთავრობო სექტორის კორუმპირებულობის შესახებ ერთმნიშვნელოვანი პოზიცია არ გააჩნია, გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც დასტურდება. კერძოდ, რესპონდენტთათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ დებულებებს შორის არჩევანი ასე ნაწილდება (*იხ. ცხრილები №№15,16*):

*ცხრილი №15*

№		ვეთანხმები(%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტურად ამხელს ქვეყანაში კორუფციას	46.8	31.8
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები არაკანონი-ერი გზით ნაშოვნი ფულის “გათეორების” სა-შუალებად და არის კორუფციის ხელშემწყობი	21.4	

*ცხრილი №16*

№		ვეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ფული ფულადი სახსრები, ძირითადად, ხმარდება საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებს	30.8	32.1
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები მოპოვებულ სახსრებს არადანიშნულებისამებრ, პირადი სარგებლობისათვის იყენებენ	37.1	

\* \* \*

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კორუმპირებულობა /არაკორუმპირებულობის შესახებ საქართველოს რეგიონებში განსხვავებული წარმოდგენები დაფიქსირდა. ამ თვალსაზრისით, მესამე სექტორმა **უველაზე უფრო დაღებითი შეფასება მიიღო გურია-სამეგრელოს რეგიონში.** ამ რეგიონში გამოკითხულთა 62,5 % თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არაკორუმპირებულია. სხვა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით **თბილისეგლი** რესპონდენტების უმრავლესობა (52%) მესამე სექტორს არაკორუმპირებულად მიიჩნევს. არასამთავრობო ორგანიზაციები, კორუმპირებულობის თვალსაზრისით, **უველაზე უარყოფითად ფასდება შიდა ქართლის რეგიონში.** აქ გამოკითხულ რესპონდენტთა 48,7% მიიჩნევს, რომ მესამე სექტორი კორუმპირებულია (სრული მონაცემები მოცემულია *ცხრილში №17*):

*ცხრილი №17*

<b>კორუმპირებულია თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები?</b>				
	რეგიონები	კორუმპირებულია (%)	არაკორუმპირებულია (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	თბილისი	31.1	52.0	16,9
2.	კახეთი	16.5	37.0	46,5
3.	შიდა ქართლი/ მცხეთა-მთიანეთი	48.7	37,1	14,2
4.	ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	22,5	29,3	48,2
5.	გურია/სამეგრელო	17,3	62,5	20,2
6.	იმერეთი	28	38	34
7.	აჭარა	20,2	30,3	49,5

რეგიონებს შორის პოზიციების აღნიშნული განაწილების სიმყარეზე სხვა მონაცემებიც მიუთითებს. კერძოდ, მესამე სექტორის კორუმპირებულობის შესახებ შეთავაზებული ალტერნატიული დებულებებიდან, რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტების თვალსაზრისები ასე ნაწილდება (*იხ. ცხრილი №18*):

#### *ცხრილი №18*

რეგიონები	არასამთავრობო ორგანიზაციები უფექტურად ამხელს ქვეყანაში კორუფციას (%)	არასამთავრობო ორგანიზაციები ფულის “გათეთრების” საშუალებაა და კორუფციის ხელშეწყობი (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1. თბილისი	47.8	27.2	24.9
2. ქახეთი	50.4	19.7	29.9
3. შიდა ქართლი/ მცხეთა-მთიანეთი	33.0	30.4	36.6
4. ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	43.5	12.6	44.0
5. გურია/სამეგრელო	60.5	16.2	23.4
6. იმერეთი	38.5	30.5	31.0
7. აჭარა	55.6	4.0	40.4

როგორც ჩანს, რეგიონების მიერ არასამთავრობო სექტორის კორუმპირებულობის შეფასებები შესაბამისობაშია მესამე სექტორის საქმიანობის ზოგად შეფასებასთან (რაზეც ზემოთ იყო საუბარი).

\* \* \*

არასამთავრობო ორგანიზაციების ანტიკორუფციული საქმიანობა უფრო დაღებითად ფასდება **მეწარმეთა** ჯგუფში. გამოკითხულ მეწარმეთა 58% თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უფექტურად ამხელს კორუფციას, თუმცა, იმ მეწარმეთა ხვედრითი წილი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს “ფულის გამთეთრებლებად” თვლიან, დაახლოებით იგივეა (23%), რაც მოსახლეობის შერჩევის ანალოგიური მაჩვენებელი. მეწარმეებთან შედარებით თავშეკავებულნი არიან **პროფესორ-მასწავლებლები**. მართალია, მათი უფრო დიდი ნაწილი (41%) არასამთავრობო ორგანიზაციების არაკორუმპირებულობისკენ იხრება, ხოლო 46%-ს, ამავე დროს, ისიც სჯერა, რომ არასამთავრობო სექტორი უფექტურად ამხელს ქვეყანაში კორუფციას, მიუხედავად ამისა, ასეთი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი არ არის და პროფესორ-მასწავლებელთა ორჭოფულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

**არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი  
მხარეები**

იცვლება თუ არა რესპონდენტთა დამოკიდებულება მაშინ, როდესაც ისინი არასამთავრობო სექტორის საქმიანობას ისეთი პარამეტრების მიხედვით აფასებენ, როგორიცაა: а) **ქმედითუნარიანობა და ბ) პროგრესულობა?** გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ არც ერთ პარამეტრთან მიმართებაში რესპონდენტთა ესა თუ ის პოზიცია (დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური) კვლავ გერ აყალიბებს უმრავლესობას (იხ. ცხრილები №№19, 20):

*ცხრილი №19*

Nº		გეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ადამიანებს უადვილდებათ საკუთარი ინტერესების დაცვა და მიზნების რეალიზაცია	44.8	17.8
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანებს მხოლოდ ცარიელ დაპირებებს აძლევენ, რეალურად მათ დახმარება არ შეუძლიათ	37.4	

*ცხრილი №20*

Nº		გეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს საზოგადოებაში ცივილური სამყაროსათვის დამახასიათებელი პროგრესული იდეების დამკიდრებას	42.3	25.3
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავს ეროვნულ ღირებულებებზე და პროპაგანდას უწევს უცხო ფასეულობებს	32.3	

\* \* \*

**მეწარმეთა ჯგუფში** არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დადებითი შედეგებიდან ყველაზე ხშირად სახელდება საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა (78%) და მოქალაქეების სახელმწიფოს ძალადობისგან დაცვა (73%), ხოლო უარყოფითი ასკურსებიდან ყველაზე ხშირად (31%) მიუთითებენ იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო პირების (პარტიების, ორგანიზაციების) დაკვეთას ასრულებს და მათ ინტერესებს ემსახურება.

**პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაც** არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ყველაზე დადებით შედეგად საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას და მოქალაქეების სახელმწიფოს

ძალადობისგან დაცვას თვლის, უარყოფითი ასპექტებიდან კი აქცენტი დასმულია მოპოვებული სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

\* \* \*

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სხვადსხვა ასპექტის შეფასებასთან დაკავშირებული წყვილადი, ალტერნატიული დებულებების ხვედრითი წილის (*მოსახლეობის შერჩევაში*) ანალიზის საფუძველზე გამოიყო ოთხი ჯგუფი (*კლასტერი*):

**I ჯგუფი** (42%) - რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სახვადსხვა ასპექტს **ძირითადად დაღებითად** აფასებენ. კერძოდ თვლიან, რომ

- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ადამიანებს უადვილდებათ საკუთარი ინტერესების დაცვა და მიზნების რეალიზაცია;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოქალაქეებს იცავს სახელმწიფოს ძალადობისგან;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტურად ამხელს კორუფციას;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს საზოგადოებაში ცივილური სამყაროსთვის დამახასიათებელი პროგრესული იდეების დამკვიდრებას
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული სახსრები, ძირითადად, ხმარდება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეებს.

**II ჯგუფი** (19%) – რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სხვადსხვა ასპექტს, **ძირითადად, უარყოფითად აფასებენ**, კერძოდ, თვლიან, რომ:

- არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში ქაოსსა და უწესრიგობას ამკვიდრებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანებს ცარიელ დაპირებებს აძლევს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უშლის სახელმწიფოს, იზრუნოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ;
- არასამთავრობო ორგანიზაციები არაკანონიერი გზით ნაშოგნი ფულის “გათეთრების” საშუალებაა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავს ეროვნულ დირებულებებზე და პროპაგანდას უწევს უცხო ფასეულობებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოპოვებულ სახსრებს არადანიშნულებისამებრ იყენებს.


**III ჯგუფი** (12%) – რესპონდენტები, რომლებსაც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ასპექტების შესახებ ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნიათ

**IV ჯგუფი** (28%) – რესპონდენტები, რომლებსაც შეიძლება პირობითად “ოპორტუნისტები” ვუწოდოთ. ამ ტიპის რესპონდენტები არ ატარებენ “ერთანმიმდევრულ ხაზს”: არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ასპექტებიდან დაახლოებით ნახევარს აფასებენ დაღებითად და ნახევარს უარყოფითად.

ადსანიშნავია, რომ არც ერთ ჯგუფს არ გააჩნია **მკაფიოდ** გამოკვეთილი პროფილი **სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების** მიხედვით, თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

- დადებითად შემფასებელთა ხვედრითი წილი საგრძნობლად კლებულობს 54 წელზე უფროსი რესპონდენტების ასაკობრივ ჯგუფში. ამავე ჯგუფში მატულობს იმ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნიათ.
- “ოპორტუნისტების” ხვედრითი წილი 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში უფრო მაღალია სხვა ჯგუფებთან შედარებით, თუმცა, უარყოფითად განწყობილთა (“ნეგატივისტების”) წილი ამ ჯგუფში ყველაზე დაბალია (*იხ. დიაგრამა №10)11,12,13*):


**სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტთა განაწილება  
კლასტერებში (პროცენტებში)**



#### დიაგრამა №10

- არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დადებითად განწყობილები **გურია-ხამეგრელოს რეგიონში** მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს; ხოლო, სხვა რეგიონებთან შედარებით, უარყოფითად განწყობილები უფრო მეტად შიდა ქართლის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში მაცხოვრებლებია (შესაბამისად, ამ რეგიონებში ყველაზე ნაკლებია დადებითად განწყობილთა ხვედრითი წილი) (*იხ. დიაგრამა №11*):


## რეგიონებში მცხოვრებთა განაწილება პლასტიკებში



დიაგრამა №11

- ქალაქება და სოფელები მცხოვრები რესპონდენტები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების თვალსაზრისით. განსხვავებას იძლევა მხოლოდ “გაურკვევლების” განაწილება: სოფლებში ამ კატეგორიის რესპონდენტები აღემატებიან ანალოგიური კატეგორიის ქალაქებებს. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ სოფლის მაცხოვრებლებში არასამთავრობო სექტორის შესახებ ინფორმაციის ხარისხი დაბალია ქალაქებთან შედარებით (იხ. დიაგრამა №12):


## სოფელ-ქალაქში მცხოვრებთა განაწილება პლასტიკებში



დიაგრამა №12

- დადებითად განწყობილ რესპონდენტთა წილი უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის. უმაღლესი განათლების რესპონდენტთა შორის ყველაზე ნაკლებია “ოპორტუნისტების” ხვედრითი წილი (იხ. დიაგრამა №13):


**სხვადასხვა განათლების მქონე რესპონდენტთა განაწილება კლასტერებში (პროცენტებში)**



**დიაგრამა №13**

- დადებითად განწყობილები შედარებით მაღალ შემოსავლიანი რესპონდენტები არიან. მათ შორის მცირეა “ოპორტუნისტების” ხვედრითი წილი. უარყოფითად განწყობილთა ყველაზე დიდი წილია იმ რესპონდენტთა შორის, რომელთა თვიური შემოსავალი 50 ლარზე ნაკლებია (იხ. დიაგრამა №14):

**სხვადასხვა შემოსავლის მქონე რესპონდენტთა განაწილება არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით (პროცენტებში)**



**დიაგრამა №14**

- არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შეფასებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს რესპონდენტის სქესი

## მოქალაქეთა ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

### არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობა და მათთან რეალური თანამშრომლობა

არასამთავრობო სექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ფორმებიდან შეიძლება გამოიყოს: а) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეებისათვის შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა; б) არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. სოციოლოგიური გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად გავრცელებული და ინტენსიურია დღეისათვის არასამთავრობო სექტორსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის ორივე პრაქტიკა.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ **12.7%-ს** უსარგებლია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული მომსახურებით (ამ კატეგორიას პირობითად შეიძლება “მოსარგებლები” ეწოდოს). კიდევ **უფრო ნაკლებია – 5.8%** – იმათი ხვედრითი წილი, ვინც თანამშრომლობდა (ან თანამშრომლობს) არასამთავრობო სექტორთან (მათ შეიძლება პირობითად “თანამშრომლები” ეწოდოს).

გამოკითხვის შედეგებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სხვადასხვა შესაძლო მომსახურებიდან “მოსარგებლეთა” კატეგორიას უფრო ხშირად გამოუყენებია **საქველმოქმედო საქმიანობა/პუმანიტარული დახმარება** (მიუთითა “მოსარგებლეთა” 48.4%, რაც რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 6.2%-ია). შემდეგ მოდის საგანმამათლებლო კურსებზე, სემინარებსა და ტრენინგებზე დასწრება (“მოსარგებლეთა” 34.6%, ხოლო საერთო რაოდენობის 4.4%). მომსახურების სხვა ტიპები ასე ნაწილდება: იურიდიული კონსულტაცია (“მოსარგებლეთა” 20.9%, საერთო რაოდენობის 2.7%); დახმარება ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში (“მოსარგებლეთა” 11.1%, საერთო რაოდენობის 1.4%); **დაცვა სამართალდამცველი ორგანოების ძალადობისაგან** (“მოსარგებლეთა” 4.6%, საერთო რაოდენობის 0.6%); დახმარება სამუშაო ადგილის შოვნაში (“მოსარგებლეთა” 3.9%, საერთო რაოდენობის 0.5%); **კონსულტაციები კრედიტების მისაღებად** (“მოსარგებლეთა” 2.0%, საერთო რაოდენობის 0.3%); **სხვა მომსახურება:** (ფინანსური დახმარება, შეადგენს მოსარგებლეთა 5.2%-ს, ხოლო საერთო რაოდენობის 0.7%-ს).

\* \* \*

**მეწარმეთა შერჩევის** გამოკვეთილი უმრავლესობა (77%) მიუთითებს, რომ არ უსარგებლია არასამთავრობო ორგანიზაციების არანაირი მომსახურებით. 6% დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ტრენინგს/სემინარს. 4%-ს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაუწიეს იურიდიული კონსულტაცია, მეწარმეთა იგივე რაოდენობამ მიიღო დახმარება საჭირო ინფორმაციის მოპოვების პროცესში.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბიზნეს სექტორი არასამთავრობო სექტორისაგან, ძირითადად, მოელის დაცვას მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან უფლებების შელახვისგან (33%) და დახმარებას სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონპროექტების მომზადებაში (18%). გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, აგრეთვე, საგანმანათლებლო კურსების, ტრენინგების (12%) და საინვესტიციო გარემოს კვლევის აუცილებლობაზე (7%).

იმ მეწარმეთა წილი, რომლებსაც რაიმე ფორმით უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქმაოდ დაბალია (18%). ბიზნესსექტორისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის ძირითადი ფორმაა მუშაობა ერთობლივ პროექტზე (67%). ამასთან, ბუნებრივია, რომ ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა (51%) მიუთითებს იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობაზე.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის მოტივად ყველაზე ხშირად სახელდება იმ საკითხით დაინტერესება, რომელზეც მათ მოუხდათ მუშაობა. ხშირად სახელდება, აგრეთვე, საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისთვის ხელშეწყობა.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფს, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული მომსახურებიდან ამ ჯგუფში ყველაზე ხშირად სახელდება საგანმანათლებლო კურსები, ტრენინგები, სემინარები, ხელშეწყობა გრანტების მიღებაში, საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება, დახმარება ინფორმაციის მოპოვებაში. გაწეულ მომსახურებას რესპონდენტთა უმრავლესობა (67%) დადებითად აფასებს.

არასამთავრობო სექტორთან რაიმე ფორმით თანამშრომლობის ხარისხი არც პროფესორ-მასწავლებლებშია მაღალი (28.3%). თანამშრომლობის ძირითადი ფორმაა პროექტის განხორციელება მათ მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში. ბუნებრივია, თანამშრომლობის ძირითადი სფეროები პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევისთვის არის სამეცნიერო-კვლევითი (23%) და საგანმანათლებლო საქმიანობა (16%).

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხარისხი მნიშვნელოვან კაგშირშია პროფესორ-მასწავლებელთა ასაკთან: 45 წლამდე ასაკის პროფესორ-მასწავლებელთა თითქმის ნახევარი (45%) მიუთითებს, რომ უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამა თუ იმ ფორმით, მაშინ, როდესაც 60 წელს გადაცილებულ პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფში ანალოგიური მაჩვენებელია – 12%.

შერჩეული უმაღლესი სასწავლებლებიდან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მამედიცინო უნივერსიტეტი) არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს თბილისის სახელმწიფო

**უნივერსიტეტს** და ყველაზე დაბალი – საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტს.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, **პუმანიტარული ფაკულტეტების** წარმომადგენლები უფრო ნაყოფიერად თანამშრომლობენ არასამთავრობო სექტორთან, ვიდრე ტექნიკური ფაკულტეტების წარმომადგენლები.

უმაღლესი განათლებისა და არასამთავრობო სექტორების თანამშრომლობის ხელისშემშლელ მიზეზებს შორის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი (40%) მიუთითებს უმაღლეს სასწავლებლებში იმ სპეციალური სამსახურების არარსებობაზე, რომლებიც **მიზნობრივად იმუშავებენ პროექტებზე** და მოიძიებენ დაფინანსებას. გარდა ამისა, შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება შემდეგი მიზეზები (*იხ. ცხრილი №21*):

### ცხრილი №21

ფონდები აფინანსებენ მხოლოდ გარკვეულ სფეროებს	37%
უმაღლესი სასწავლებლების პასიურობა	32%
არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებული პროტექტონიზმი და კორუფცია	29%
არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მხოლოდ შეზღუდულ სფეროებშია შესაძლებელი	17%
საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი და მათი ფინანსური რესურსები შეზღუდულია	12%

(**შენიშვნა:** რესპონდენტებს შესაძლებლობა ეძღვოდათ დაუსახელებინათ ერთზე მეტი პასუხი. ამის გამო, პასუხების განაწილება 100 %-ზე მეტია)

\* \* \*

იმ რესპონდენტების **დიდი უმრავლესობა** (84.6%), ვისაც გამოუყენებია არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურება, ძირითადად, **დადებითად აფასებს** მათვეის გაწეულ სამსახურს. მხოლოდ 15.3%-ია ისეთი, რომელიც უარყოფით შეფასებას გამოოქვამს.

რაც შეეხება რესპონდენტთა იმ მცირე ნაწილს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან უთანამშრომლია/თანამშრომლობს (ეწ. “თანამშრომლები”), მათ შორის უმრავლესობას (57.1%-ს, რაც გამოკითხულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3.3%-ია) ისინი შეადგენენ, ვისაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა აქვს მიღებული სემინარებისა და ტრენინგების მოწყობაში. “თანამშრომლების” მნიშვნელოვანი ნაწილი (44.3%, ანუ საერთო რაოდენობის 2.6%) თავად არის ან ყოფილა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი/დამფუძნებელი, ხოლო 42.9%-ს (საერთო რაოდენობის 2.5%) მოხალისედ უმუშავია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დონისძიებებში. “თანამშრომლების” მხოლოდ მცირე ნაწილს (10.1%, ანუ საერთო

რაოდენობის 1%) განხორციელებული აქვს **პროექტი** არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში, ხოლო ძალზე მცირეა მათი რაოდენობა, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციებს ფულადი სახსრებით დახმარებია (ასეთია 2.5%, ანუ საერთო რაოდენობის 0.3%).

გამოკითხვამ გამოავლინა ის **სფეროები**, რომლებშიც მოქალაქეებსა (“თანამშრომლებსა”) და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობა შედგა. ეს სფეროები, სიხშირის მიხედვით, ასე დალაგდა:

1. საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება	– 27.1%
2. არჩევნების დროს ამორჩეველთა უფლებების დაცვა	– 17.1%
3. დემოკრატიული/სამოქალაქო დირებულებების დამკვიდრება	– 17.1%
4. ბავშვთა უფლებების დაცვა	– 15.7%
5. საგანმანათლებლო საქმიანობა	– 14.3%
6. ქალთა უფლებების დაცვა	– 12.9%
7. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა	– 8.6%
8. სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა	– 8.6%
9. ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	– 5.7%
10. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	– 5.7%
11. რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა	– 2.9%
12. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	– 2.9%
13. ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება	– 2.9%
14. ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა	– 2.9%
15. ხელშეწყობა საზღვარგარეთ განათლების მიღებაში	– 1.4%

გამოკითხვამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის **ძირითად მოტივაციას** “თანამშრომლებისათვის” წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, რომ ხელი შეუწყონ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას (46.4%). სერიოზულ მოტივაციად დასახელდა, აგრეთვე, იმ საკითხებით დაინტერესება, რომლებზეც “თანამშრომლებს” მოუწიათ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ისეთი ფაქტორი, როგორიცაა **კარგი ანაზღაურება**, არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მოტივაცია რესპონდენტთათვის (სულ 8.7%).

ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებით, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (84.3%) **კმაყოფილებას გამოთქვამს** არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. უკმაყოფილოთა ხვედრითი წილი მხოლოდ 5.7%-ია.

### **არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი**

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (94.2%) არასოდეს უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდეს, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადია **სუბიექტური მოტივაცია** – აქთ თუ არა რესპონდენტებს სურვილი, მომავალში მაინც ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?

გამოკითხვამ აჩვენა, რომ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სურვილს ასეთი გამოცდილების არმქონე რესპონდენტთა მესამედი (33.8%)


გამოთქვამს. გამოკითხულთა **უფრო დიდ ნაწილს** (47.3%) არასოდეს უთანამშრომლია და არც მომავალში აქვს თანამშრომლობის სურვილი. ხოლო 19.7%-ს უჭირს საკუთარი მოტივაციის განსაზღვრა.

**არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანმშრომლობის სურვილი დაკავშირებულია ისეთ მაჩვენებლებთან, როგორებიცაა რესპონდენტის ახალი, განათლების ცენტრი და შემოსავალი.**

\* \* \*

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანმშრომლობის სურვილი ყველაზე მაღალია **18-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში**. ასაკის მატებასთან ერთად არასამთავრობო სექტორთან თანმშრომლობის სურვილი კლებულობს (*იხ. დიაგრამა №15*):

**სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტთა განაწილება  
არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანმშრომლობის სურვილის  
მიხედვით (პროცენტებში)**



*დიაგრამა №15*

არასამთავრობო სექტორთან თანმშრომლობის სურვილი უფრო მაღალია **უმაღლესი განათლების** მქონე რესპონდენტებში (50%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებში (36%).

მაღალშემოსავლიანი რესპონდენტებიც უფრო მეტად გამოთქვამენ თანამშრომლობის სურვილს, ვიდრე დაბალშემოსავლიანი რესპონდენტები.

აღნიშნული საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოვლინდა **რეგიონების** მიხედვით. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილს უფრო მეტად გამოთქვამენ იმერეთის (41%), თბილისის (37,5%) და გურია-სამეგრელოს მაცხოვრებლები (36,9%). თუმცა, ამ რეგიონებში შედარებით უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილიც, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მესამე სექტორთან თანამშრომლობის მიმართ. ამ ტიპის რესპონდენტების წილით ისევ შედა ქართლის რეგიონი “ლიდერის” (65.1%) (*იხ. ცხრილი №22*).

ცხრილი №22

გაქვთ თუ არა სურვილი, ითანამშრომლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?				
	რეგიონები	დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	თბილისი	37.5	49.5	13.1
2.	კახეთი	30.3	48.7	21.0
3.	შიდა ქართლი/მცხეთა-მთიანეთი	26.6	65.1	8.3
4.	ქვემო ქართლი/სამცხე-ჯავახეთი	32.0	30.3	37.7
5.	გურია/სამეგრელო	36.9	49.0	14.0
6.	იმერეთი	41.0	47.7	11.3
7.	აჭარა	14.9	41.5	43.6

\* \* \*

იმ მეწარმეთაგან, რომლებსაც არ უთანამშრომლიათ არასამთავრობო სექტორთან, 22% არც გამოთვამს თანამშრომლობის სურვილს. ამის მოტივად ყველაზე ხშირად (49%) სახელდება არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტურობა და მათი ორიენტაცია კერძო პირების, პარტიების ან ორგანიზაციების ინტერესებზე (22%).

ის მეწარმეები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ (47%), დაინტერესებულნი არიან იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც მუშაობენ ეკოლოგიურ პრობლემებზე (11%), კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემზე (10%) და ბაგშვთა უფლებების დაცვაზე (9%). ბუნებრივია, თანამშრომლობის მსურველთა ყველაზე დიდი წილი (46%) აირჩევდა იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება იმ **პროფესორ-მასწავლებლებს**, ვისაც არ უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ასეთია უმრავლესობა – 71.7%), მათ შორის 34% არც გამოთქვამს ამგვარ სურვილს. ამის მიზეზად, ისევე, როგორც მეწარმეთა ჯგუფში, ყველაზე ხშირად სახელდება არსამთავრობო სექტორის არაეფექტურობა და მათი მხრიდან კერძო პირების და ორგანიზაციების ინტერესების დაცვა.

\* \* \*

ის ფაქტი, რომ რესპონდენტებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი სუსტია, გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც დასტურდება. კითხვაზე: “თუ ანა ზღაურება იქნებოდა თანაბარი, სად ისურვებდით სამსახურის დაწყებას?” – რესპონდენტთა მთელი შერჩევიდან პასუხები ასე ნაწილდება:

- |                             |         |
|-----------------------------|---------|
| 1. კერძო ბიზნესში           | – 46.6% |
| 2. საბიუჯეტო ორგანიზაციებში | – 21.8% |
| 3. სახელისუფლო სტრუქტურებში | – 15.8% |

4. არასამთავრობო ორგანიზაციებში	– 10.4%
6. პოლიტიკურ პარტიაში	– 2.6%
7. არსად	– 2.6%
8. ნებისმიერ ორგანიზაციაში	– 0.2%
9. მიჭირს პასუხის გაცემა	– 9.2%

როგორც მონაცემებიდან ჩანს, არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დაწყებას რესპონდენტები, თანაბარი ანაზღაურების პირობებშიც კი, **ამჯობინებები** კერძო ბიზნესში, საბიუჯეტო ორგანიზაციებში და სახელისუფლო სტრუქტურებში დასაქმებას.

\* \* \*

სხვა სტრუქტურებთან შედარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის სურვილი **სუსტია რეგიონალურ ჭრილშიც**. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ფაქტორებთან რეგიონების კავშირის გამოვლენილი ტენდენციები აქაც მეორდება. მესამე სექტორის მიმართ “კეთილგანწყობილ” რეგიონებს, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, კახეთიც მიემარც (იხ. ცხრილი №23):

### ცხრილი №23

თუ ანაზღაურება იქნებოდა თანაბარი, სად ისურვებდით სამსახურის დაწყებას?						
	რეგიონები	საბიუჯეტო ორგანიზაციაში (%)	სახელისუფლო სტრუქტურებში (%)	კერძო ბიზნესში (%)	არასამთავრობო ორგანიზაციებში (%)	პოლიტიკურ პარტიაში (%)
1.	თბილისი	22.8	15.9	38.1	11.6	3.3
2.	კახეთი	18.1	17.3	35.4	15.7	0.8
3.	შიდა ქართლი/ მცხეთა-მთიანეთი	31.0	9.7	50.4	3.5	0.9
4.	ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	19.9	4.2	53.4	4.2	2.1
5.	გურია/სამეგრელო	19.0	11.3	37.5	12.5	4.2
6.	იმერეთი	15.0	22.0	40.5	11.5	2.5
7.	აჭარა	13.1	20.2	44.4	2.0	1.0

\* \* \*

საინტერესოა, რომ სტატისტიკურმა ანალიზმა მხოლოდ ამ კითხვასთან მიმართებაში გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება **სქესის** მიხედვით. რესპონდენტი **ქალები** უფრო მეტად ავლენენ ორ სტრუქტურაში მუშაობის სურვილს: а) საბიუჯეტო ორგანიზაციებში (ქალების 24.2%; კაცების 14.5%); б) არასამთავრობო ორგანიზაციებში (ქალების 10.7%; კაცების 7.9%). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების

შესახებ ინფორმირებულობის დონეს და სქესს შორის დამოკიდებულება არ არის, ამგვარი სურვილის ახსნა სხვა ფაქტორებთან მიმართებაშია საძიებელი (შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ისევე როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციები, აღიქმება ნაკლებად აგრესიულ, ნაკლებად კონკურენტულ გარემოდ ბიზნესთან, პოლიტიკასთან შედარებით, თუმცა, ამგვარი ჰიპოთეზების შემოწმება მოცემული კვლევის ფარგლებში შეუძლებელია).

არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის სურვილი, საერთო სურათთან შედარებით, უფრო მაღალია, აგრეთვე, **45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა, ამ ჯგუფში არასამთავრობო ორგანიზაციები ბიზნესსექტორში მუშაობის სურვილს კონკურენციას ნამდვილად ვერ უწევს.**

უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო მეტად გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის სურვილს, ვიდრე საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები.

\* \* \*

რაც შეეხება **პროფესორ-მასწავლებელთა** შერჩევას, როგორც ჩანს, ამ კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობა (63%) ამჯობინებს საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებელში სამუშაო ადგილის შენარჩუნებას. კერძო ბიზნესში გადასვლის მსურველი აქ გაცილებით ნაკლებია (10%). არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის მსურველთა წილი დაახლოებით იდენტურია მოსახლეობის შერჩევის იგივე მაჩვენებლისა (9%).

\* \* \*

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, შესაძლებლობა ჰქონდათ დაესახელებინათ უარის მიზეზები, რომლებიც, სიხშირის მიხედვით, შემდეგნაირად დალაგდა:

1. არ მექნება სტაბილური ანაზღაურება/ხელფასი – **15.5%**
2. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა არაეფექტურია, მათთან თანამშრომლობით შეუძლებელია პრობლემების რეალურად მოგვარების ხელშეწყობა – **23.0%**
3. არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურება კერძო პირების (პარტიების, ორგანიზაციების) ინტერესებს – **16.8%**
4. მაქვს (მინდა მქონდეს) უგეოგენი სამუშაო – **23.6%**
5. არასამთავრობო ორგანიზაციები კორუმპირებულია – **6.0%**
6. სხვა: (- ხელს არ მიწყობს ასაკი – 8.6%;
  - არ მჯერა მათი – 2.1%;
  - უბრალოდ, არ მინდა – 3.6%
  - ხელს არ მიწყობს ჯანმრთელობა – 2.2%)

დასახელებული მიზეზები მიუთითებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში (კერძოდ, ეს არის საერთო რაოდენობის დაახლოებით 45%) არასამთავრობო ორგანიზაციები არაპოპულარულია, ან ამ ორგანიზაციებში დასაქმების არაპრესტიულობის (“მაქს/მინდა მქონდეს უკეთესი სამუშაო”), ანდა მათი საქმიანობის არაეფექტურობისა და მიკერძოებულობის გამო.

რაც შეეხება გამოკითხულთა იმ ნაწილს, რომელმაც მესამე სექტორთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქა, მათ პრიორიტეტი მიანიჭეს განსაზღვრულ სფეროებს, რომლებშიც არასამთავრობო პროფილით დასაქმდებოდნენ. ეს სფეროები, სიხშირის მიხედვით, ასე დალაგდა:

- |  |         |
|--|---------|
| 1. ბავშვთა უფლებების დაცვა                             | – 28.8% |
| 2. საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება     | – 19.3% |
| 3. ქალთა უფლებების დაცვა                               | – 18.5% |
| 4. სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა               | – 18.3% |
| 5. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა                   | – 15.5% |
| 6. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა                         | – 14.5% |
| 7. ხელშეწყობა საზღვარგარეთ განათლების მიღებაში         | – 13.8% |
| 8. ხელისუფლების ქმედებების კონტროლი                    | – 9.3%  |
| 9. არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა        | – 8.5%  |
| 10. დემოკრატიული/სამოქალაქო დირექტულებების დამკვიდრება | – 7.5%  |
| 11. საგანმანათლებლო სამიანობა                          | – 3.3%  |
| 12. რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა             | – 2.8%  |
| 13. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა             | – 1.8%  |

\* \* \*

საინტერესოა, რომ რესპონდენტების მიერ იმ სფეროთა დასახელება, რომლებშიც ისინი ისურვებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, არ ემთხვევა იმ სფეროთა დასახელებას, რომლებშიც მათი აზრით, მესამე სექტორის საქმიანობის გააქტიურებაა აუცილებელი. მაგ. მიუხედვევად იმისა, რომ უპირველესი საზოგადოებრივი “დაკვეთა” არასამთავრობო სექტორისთვის კორუფციასთან ბრძოლაა, ამ სფეროში მესამე სექტორთან თანამშრომლობის მსურველი შედარებით ნაკლებია სხვა სფეროებთან შედარებით (ქალაქებში –13.9%; სოფლებში 15.3%).

როგორც ქალაქების (29%), ასევე სოფლების (28.2%) მოსახლეობის კალახე დიდ ნაწილს სურს მესამე სექტორთან თანამშრომლობა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. ქალაქებში უფრო მეტია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ითანამშრომლებდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სოფლებში მეორე პრიორიტეტია საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება. ეს სფერო ქალაქებში მესამე პრიორიტეტად დასახელდა. როგორც ქალაქებში (17%),

<sup>9</sup> აღნიშნული პროცენტი დათვლილია შემდეგნაირად: რესპონდენტთა 94.2%-ს არ უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამრიგად, ამ რესპონდენტთა რაოდენობაა 1130. მათგან 47.3%, ანუ 535 რესპონდენტი არც მომავალი თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს. ეს რიცხვი კი საერთო რაოდენობის 44.6%-ს შეადგენს.

ასევე სოფლებში (19.8) მაცხოვრებელი რესპონდენტები გამოთქვამენ სურვილს ითანამშრომლონ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობას.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის შერჩევაში მესამე სექტორისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტებად დასახელდა კორუფციასთან ბრძოლა და ხელისუფლების ქმედებების კონტროლი, მაგრამ ამ სფეროებში არასამთავრობობთან თანაშრომლობის პასუხისმგებლობა რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა “სხვებს” გადაულოცა (ამგვარი შეუსაბამობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი ფაქტორით, თუმცა ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს მოსახლეობის იმედგაცრუება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით. ამას ადასტურებს ამ კვლევის ფარგლებში გამოვლენილი უნდობლობის ძალზე მაღალი ხარისხი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. კორუფციასთან ბრძოლა და ხელისუფლების ქმედებების კონტროლი კი, გარკვეულწილად, პოლიტიკასთან არის ასოცირებული).

**რეგიონების** მიხედვით, ის სფეროები, რომლებშიც მოსახლეობა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას ისურვებდა, ასე განაწილდა:

**თბილისში პირველ, მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებენ:**

ბაგრათია უფლებების დაცვა – 25.5%

ქალთა უფლებების დაცვა – 20%

საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება – 18.2%

**კახეთი:**

ბაგრათია უფლებების დაცვა – 25.6%

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა – 23.3 %

ეკოლოგიური პორობლემების გადაწყვეტა – 20.9

**შიდა ქართლი, მცხეთა მთიანეთი:**

სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა – 27.6%

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა – 24.1%

საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება – 20.7%

**ქახმო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი:**

სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა – 36.9%

ბაგრათია უფლებების დაცვა – 23.1 %

ხელშეწყობა საზღვარგარეთ განათლების მიღებაში – 24.1%

**აჭარა:**

ბაგრათია უფლებების დაცვა – 42.9%

ქალთა უფლებების დაცვა – 35.7%

ეკოლოგიური პორობლემების გადაწყვეტა – 35.7%

საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება – 35.7%

### გურია, სამეცნიერო:

ბაგშვთა უფლებების დაცვა – 32.8%

ქალთა უფლებების დაცვა – 29.3%

საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება – 19%

### იმერეთი:

ბაგშვთა უფლებების დაცვა – 42%

საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება – 23.5%

ქალთა უფლებების დაცვა – 21%

## არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი მიმართვა და მზაობა მათ მხარდასაჭერად

გამოკითხვაშ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებითან თანამშრომლობაზე უარის თქმის ის მოტივაციები, რომლებიც რესპონდენტებმა დაასახელეს, გავლენას ახდენს მათ წარმოდგენაზე არასამთავრობო სექტორის ქმედითობის შესახებ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე მოქალაქეთა უფლებების დაცვას ეხება. კითხვა, რომელიც რესპონდენტებს დაესვათ, მიწოდებული იყო არა პროექციული ფორმით, არამედ მათ უშუალოდ უნდა გადმოეცათ საკუთარი ატიტუდი: “თუ თქვენი, როგორც მოქალაქეის, უფლებები დაირღვა, ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურებიდან ვის მიმართავდით დასახმარებლად პირველ რიგ ში? მეორე რიგ ში?”. შედეგებმა გამოავლინა, რომ, რესპონდენტთა აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების “წონა”, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჩამორჩება სასამართლოს და სახალხო დამცველის გავლენას, თუმცა, მეორე მხრივ, აღმატება პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის გავლენას.

საბოლოო შედეგები მოცემულია ცხრილში №24:

ცხრილი №24

№	თუ თქვენი უფლებები დაირღვა, ვის მიმართავდით?	(%)
1.	სახალხო დამცველს	42.8
2.	სასამართლოს	48.0
3.	პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს	20.5
4.	ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს	32.1
5.	კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებს	13.3
6.	<b>არცერთს</b>	<b>10.0</b>
7.	ნაცნობ-მეგობრებს	1.3
6.	სახელისუფლო პარტიას	1.3

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინდიკატორს წარმოადგენს მოქალაქეთა მზაობა, არა მხოლოდ მიიღოს ან მოითხოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან გარკვეული დახმარება, არამედ თავად გამოავლინოს სხვადასხვა ხასიათის აქტივობა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად. გამოკითხვაში აჩვენა, რომ ამ მიმართულებითაც რესპონდენტთა მზაობას მაღალს ვერ ვუწოდებთ (თუმცა, ამგვარი მაჩვენებლების შეფასებისას, სასურველია, მონაცემები შედარდეს იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებშიც სამოქალაქო საზოგადოება უფრო მეტადაა განვითარებული): გამოკითხულთა უმრავლესობა უარს ამბობს საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე მესამე სექტორის დასაცავად; თითქმის ნახევარი არც მოხალისედ ჩაერთვებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. საერთო სურათს ერთგვარად არღვევს უმრავლესობის მიერ გამოხატული სურვილი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფულადი სახსრებით დაეხმაროს არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტთა აღნიშნული სურვილი “ვირტუალურ რეალობას” უფრო წააგავს, ვიდრე სინამდვილეს. ამდენად, მზაობის გამოხატვა, ამ შემთხვევაში, რესპონდენტთა მხრიდან მისი რეალობად ქცევის მცირე “რისკს” შეიცავს (იხ. ცხრილი №25).

#### ცხრილი №25

№	აქტივობები	დიახ (%)	არა (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)
1.	მივიღებდი მონაწილეობას საპროტესტო აქციაში არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებების დასაცავად, რაიმე ძალის მხრიდან მათზე ზეწოლის შემთხვევაში	32.2	54.8	13.2
2.	შესაძლებლობა რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი ფულადი სახსრებით	53.3	37.2	9.6
3.	მივიღებდი მონაწილეობას მოხალისედ (ანაზღაურების გარეშე) არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში	38.3	48.6	13.1

არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის სურვილი უფრო მეტად გამოითქვა 25-44 წწ. ასაკობრივი ჯგუფის, უმაღლესი განათლებისა და 200 ლარზე მეტი თვიური შემოსავლის მქონე რესპონდენტთა ჯგუფებში. რაც შეეხება სხვა სახით არასამთავრობოთა მხარდაჭერას, ამ შემთხვევაში კავშირები სოციალურ-დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან არ გამოიკვეთა.

\* \* \*

არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერისთვის მზაობა არაერთგვაროვანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მესამე სექტორის მიმართ “კეთილგანწყობილი” რეგიონები ამ შემთხვევაშიც უფრო მეტადაა გურია-სამეგრელო, თბილისი და იმერეთი (იხ. ცხრილი №26):

ცხრილი №26

1.	მიგიდებდი მონაწილეობას საპროტესტო აქციაში არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებების დასაცავად								
2.	შესაძლებლობა რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი უფლადი სახსრებით								
3.	მიგიდებდი მონაწილეობას მოხალისედ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დონისძიებებში								
<b>რეგიონები</b>									
		დიახ (%)			არა (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)		
		1.	2.	3.	1.	2.	3.	1.	2.
1.	ობილისი	38.1	60.9	44.4	56.3	35.1	49.7	5.6	4.0
2.	კახეთი	22.8	42.5	28.3	59.1	44.1	59.1	18.1	13.4
3.	შიდა ქართლი/ მცხეთა-მთიანეთი	25.7	50.4	33.6	69.0	47.8	61.1	5.3	1.8
4.	ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	28.3	45.5	36.6	56.5	47.1	47.6	15.2	7.3
5.	გურია/სამეგრელო	39.9	67.9	50.0	51.8	27.4	41.1	8.3	4.8
6.	იმერეთი	38.5	55.5	37.0	49.5	35.5	50.5	12.0	9.0
7.	აჭარა	15.2	32.3	24.2	40.4	23.2	28.3	44.4	44.4
									47.5

\* \* \*

ამ კითხვებთან მიმართებაში, პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაში არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის უფრო მეტი მზაობა გამოვლინდა. კერძოდ, მოხალისედ მონაწილეობის სურვილი გამოთქვა გამოკითხულთა 54%-მა. ფინანსური მხარდაჭერის “ჰიპოთეტური” სურვილი – 65%-მა. თუმცა, არასამთავრობო სექტორზე ზეწოლის შემთხვევაში მის დასაცავად საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მსურველი უფრო ნაკლებია (41%).

## დასკვნა

### სინოზური ინდიკატორის მნიშვნელობა მოსახლეობის შემჩვევისათვის

სინოზური ინდიკატორი აიგო **ხუთი მაჩვენებლის** საფუძველზე. თითო ეულ მაჩვენებელს მიენიჭა წონა ექსპერტული შეფასების საფუძველზე. განხორციელდა მაჩვენებელთა მათემატიკური ფორმალიზაცია, რის შედეგადაც თითოეული მაჩვენებელი იღებს მნიშვნელობას  $-5$ -დან  $+5$ -მდე. სინოზური ინდიკატორი წარმოადგენს ხუთი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულს (შესაბამისი წონების გათვალისწინებით). სინოზური ინდიკატორის მნიშვნელობაც მოთავსებულია  $-5$ -დან  $+5$ -მდე.

**I მაჩვენებელი - მოქალაქეთა ინფორმირებულობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ.**

ინფორმირებულობა შეფასდა კითხვარში ტესტური კითხვების საფუძველზე. კერძოდ:

**კითხვები B3-B7** გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აღმწერი დებულებების შეთავაზებას რესპონდენტებისათვის. მათ უნდა განესაზღვრათ, რომელი საქმიანობა ან ნიშანია არასამთავრობო ორგანიზაციების მახასიათებელი და რომელი - არა (ამ ნიშან-თვისებებზე ზემოთ უკვე იყო დაწვრილებით საუბარი).

**კითხვები B10-B16** მოიცავდა კონკრეტული ორგანიზაციების (როგორც არასამთავრობო, ასევე სხვა იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის) ჩამონათვალს. რესპონდენტს უნდა განესაზღვრათ, ჩამონათვალიდან რომელი მიეკუთვნება არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყოველი სწორი პასუხისმარებლის რესპონდენტი იღებს  $+5$ -ს, ხოლო ყოველი არასწორი პასუხისმარებლის  $-5$ -ს.

სწორად და არასწორად გაცემული პასუხების თანაფარდობის საფუძველზე გამოიყო რესპონდენტთა **სამი კატეგორია:**

- “ინფორმირებულები” – ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან თორმეტივეს სწორად გასცა პასუხი.
- “ნაწილობრივ (მეტ-ნაკლებად) ინფორმირებულები” - ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან ცხრას მაინც სწორად გასცეს პასუხი.
- “ცუდად ინფორმირებულები” – ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან ოთხს არასწორად გასცა პასუხი.

ამგვარი კატეგორიზაციის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული შემთხვევით სწორად გაცემულ პასუხთა აღმდეგ.

კვლევის შედეგების საფუძველზე: **I მაჩვენებელი = - 2.86**

II მაჩვენებელი – მოქალაქეთა დარწმუნებულობა იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დადებით როლს ასრულებს საქართველოში მიმდინარე პროცესებში.

აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა შემდეგი კითხვების საფუძველზე:

**4. “როგორ აფასებთ არასამთავრობო სექტორის სამიანობას საქართველოში?”** - მოცემულ კითხვაზე პასუხების ქულები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი №27):

ცხრილი №27

არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შეფასება	ქულა
1. დადებითი	5
2. უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	2.5
3. უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	-2.5
4. უარყოფითი	-5
99. მიჰირს პასუხის გაცემა	0

**C1. “რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?”** – მოცემულ კითხვაზე პასუხების ქულები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი №28):

ცხრილი №28

არასამთავრობო სექტორის გავლენა მიმდინარე პროცესებზე	ქულა
1. მნიშვნელოვანი	5
2. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი	2.5
3. მცირე	-2.5
4. გავლენის არმქონე	-5
99. მიჰირს პასუხის გაცემა	0

**C33-C38. მოცემული ცვლადები გულისხმობდა არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ხევადასხვა ასპექტის შემფახებელ დადებით და უარყოფით დებულებას შორის არჩევანის გაკეთებას რესპონძენტის მიერ.**

დადებითი შეფასება – 5 ქულა  
 უარყოფითი შეფასება – (-5) ქულა  
 გაურკვევლი პოზიცია – 0 ქულა

დებულებები ეხებოდა:

1. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში
2. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას მოქალაქეთა სახელმწიფოს ძალადობისგან დაცვის პროცესში
3. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას კორუფციასთან ბრძოლის პროცესში

4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას სწორი დირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბების პროცესში
5. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შეფასებას

კვლევის შედეგების საფუძველზე: **II მაჩვენებელი = 0.655**

**III მაჩვენებელი** – მოქალაქეთა დარწმუნებულობის ხარისხი იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას სასარგებლო მომსახურებას აწვდის.

მაჩვენებელი გამოითვალი **D4 შეკითხვის** საფუძველზე (*იხ. ცხრილი №29*):

*ცხრილი №29*

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების შეფასება	ქულა
1. დადებითი	5
2. უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	2.5
3. უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	-2.5
4. უარყოფითი	-5
99. მიჰირს პასუხის გაცემა	0

კვლევის შედეგების საფუძველზე: **III მაჩვენებელი = 2.8**

**IV მაჩვენებელი** – მოქალაქეთა სურვილი, ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მაჩვენებელი განისაზღვრა ორი კითხვის საფუძველზე:

**D8. “გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?”**

იმ რესპონდენტებს, ვინც გამოთქვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი, მიენიჭათ 5 ქულა; იმათ, ვინც არ გამოხატა თანამშრომლობის სურვილი მიენიჭათ -5 ქულა.

**D11. “თუ ანაზღაურება იქნებოდა თანაბარი, სად ისურვებდით მუშაობას?”**

იმ რესპონდენტებს, ვინც გამოთქვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის სურვილი მიენიჭათ 5 ქულა, ყველა დანარჩენ პასუხს მიენიჭა -5.

კვლევის შედეგების საფუძველზე: **IV მაჩვენებელი = - 0.045**

V მაჩვენებელი – მოქალაქეთა რეალური მონაწილეობის ხარისხი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

მოცემული მაჩვენებელი განისაზღვრა D3 კითხვის საფუძველზე:

**D3. “გითანამშრომლიათ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციასთან?”**

შესაბამისად, იმ რესპონდენტებს, ვისაც უთანამშრომლია არასამდავრობო ორგანიზაციებთა მიენიჭათ 5 ქულა, ვისაც არ უთანამშრომლია –5 ქულა.

კვლევის შედეგების საფუძველზე:  $V \text{ მაჩვენებელი} = -4.415$

განისაზღვრა თითოეული მაჩვენებლის წონა შემდეგი მოცულობებით:

- I მაჩვენებელი – 40%
- II მაჩვენებელი – 25%
- III მაჩვენებელი – 20%
- IV მაჩვენებელი – 10%
- V მაჩვენებელი – 5%

შესაბამისად, სინთეზური ინდიკატორის მნიშვნელობა, თითოეული მაჩვენებლის წონის გათვალისწინებით, შემდეგნაირად დაითვალა:

$$(-2.86 \times 0.4) + (0.655 \times 0.25) + (2.8 \times 0.2) + (-0.045 \times 0.1) + (-4.415 \times 0.05) \\ = (-1.144) + 0.16375 + 0.56 + (-0.0045) + (-0.22075) = (-0.6455)$$